645
1965/9

# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1965 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიათურა. ფოტო ა. მაჭავარიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1917

# 1965

მხატვარი ლ. შენგელია



# შავი ქალაქის გაზაფხული

16 აგვისტო. წელს კალენდრის ამ ფურცელზე, სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან ერთად, არის ასეთიც: „1940—ჭიათურა ვარდაიქმნა ქალაქად (25 წლისთავი)“.

სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე აგონდებათ, რომ ჟურნალში ცოტა დაწერილა ამ ქალაქზე, მის ადამიანებზე და ამ ხარვეზის გამოსასწორებლად სასწრაფოდ მიგავლენენ ჭიათურაში.

თუ არასოდეს არ ყოფილხარ ამ ქალაქში და არ გაგივლია გზა შორაპნიდან საჩხერემდე, როგორი იქნება შენთვის ეს გზა, ან რა უნდა დაწერო ამ ქალაქზე? ან თირი, პატარა პლატფორმა ჭიათურამდე სულ ხუთი წუთის სავალზე, რას ეტყვის მკითხველს ამ პატარა პლატფორმის სახელი?

მაგრამ ეს პლატფორმა შენთვის უსაყვარლესია ყველა სადგურზე. შენი ბავშვობის საუკეთესო დღეებმა აქ გაიარა, ამ ფერდობზე ზევით, სოფელში.

...მოუთმენლად ელოდი ივნისის დასაწყისს. მერე, როცა შორაპანში დიდ მატარებელს პატარა გუგულა მატარებელზე გაცვლიდი, თავს უბედნიერეს ადამიანად გრძნობდი. ფიქრობდი: აი, დაიწყო.

და იწყებოდა უმშვენიერესი დღესასწაული, რომელიც გრძელდებოდა დიდხანს, მთელი გრძელი ზაფხულის მანძილზე.

...მატარებელი სადღაც ქვევით იკივლებდა და ხეობა უბრუნებდა მრავალხმიან გამოძახილს. ფერდობის თავზე შექუჩული ბავშვებიც ამას უცდიდით: „გამოსულა, სალიეთიდან გამოსულა!“ — იხუვლებდით და კისრისტეხით ჩამორბოდით წითელ, დამრეც ბილიკზე. ბონდამდე რომ მიაღწევდით, მუხლები გიკანკალებდათ თავდაღმართში სირბილისაგან. მერე ბიჭები ბონდზე შეცვივდებოდნენ, გარბოდნენ, გზადაგზა ჩერდებოდნენ, ბუქნავდნენ მოაჯირზე ხელჩაფრენილნი და აქანავებდნენ ვიწრო ბეწვის ხიდს. ქვევით შავად პრიალებდა მდინარის მოსარკული ზედაპირი, შიგ ირხეოდა ბონდი და თავბრუდახვეულს გეჩვენებოდა, რომ აი, სადაცაა მოსწყდები და შავი მორევისკენ გაექანები. და სასწრაფოდ ხუჭავდი თვალებს...

ბონდიდან ბილიკი პატარა ყანაში მიდიოდა და სულ ახლოს იდგა ნახანძრალი, შავად გარუჯული სადგურის შენობა. სირბილისგან ჯერ კიდევ გიხმაურებდათ ყურებში სისხლი, როცა დაღლილები და გაოფლილები სადგურის წინ დაცვივდებოდით.

თითქმის მაშინვე პატარა ორთქლმავალი შემოგრიალდებოდა სადგურზე, ნახევარ წუთს იქშენდა, ისტვენდა, დასტოვებდა ორთქლისა და კვამლის ბოლქვებს და ქოთქოთით განაგრძობდა გზას. ბავშვების წინ ჩაივლიდა ვაგონების გაბმულა, მერე უკანასკნელი ვაგონიც გარახრახდებოდა და ლიანდაგებზე სტოვებდა სიჩუმეს. სადგურს უკან ჩქრიალებდა მდინარე, გაცეცხლებული ჭრიალებდნენ ჭრიჭინობლები და შუადღის თაკარა მზეზე წითლად ღვიოდნენ ლოდებს ჩაკრული ასკილის, მაყვლის და ძაღლყურძენას ბარდები.

ბავშვები ჩრდილში ისხედით და გონების თვალით ხედავდით მატარებელს. ის უკვე კივილით შედიოდა ჭიათურაში და ფრთხილად მიიკვლევდა გზას მარგანეცით დატვირთულ შავ საბარგო ვაგონებს შორის.

* * *

...ახლა მატარებელი იმ ბაქანზე აღარ ჩერდება. ის გუგულა მატარებელი, კარგა ხანია, ჩაბარდა წარსულს. შორაპნიდან ჭიათურაში ფართოლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს და ძველი, მიხვეულ-მოხვეული გზა გაუქმდა, აღარ არის. სამი საათის ნაცვლად მატარებელი ამ გზის გავლას ორმოც წუთს უნდება.

აი, ახლა ის ქალაქში შედის. რამდენიმე წელია, აქ აღარ ყოფილხარ და გაოგნებული იყურები ხან ერთ, ხან მეორე ფანჯარაში: ქალაქის ირგვლივ მდებარე ზეგნები, წინათ შავად გარუჯულები და უკაცრიელნი, ზეიმურად გადმოჰყურებენ ხეობაში ჩაფლულ ქალაქს თავისი ფერადფასადებიანი კორპუსებით.

მაგრამ გადმოდიხარ მატარებლიდან ნაცნობ ბაქანზე და ივიწყებ, რომ წლები გასულა. სადგურის უკან მოედანზე თვალს ისევ ეამება თეატრის დიდებული შენობა. მაგრამ ცოტას გაივლი და — ეს სასტუმრო ახალია კიდევ გაივლი და უზარმაზარ ვარდისფერ შენობას ხედავ — გუმანით ხვდები, აქ კულტურის სახლი შენდება. და ასე, ყოველ ნაბიჯზე — ნაცნობი და ახალი, ნაცნობი და ახალი. მაგრამ შენთვის ყველაფერი მაინც მახლობელი რჩება: ეს ხომ შენი ქალაქია — ტერასებად შეფენილი, მწვანეში ჩაფლული სახლები, დიდებული „საშევარდნო კლდე“, საჰაერო ბაგირგზებით დაქსელილი ზეცა...

* * *

პირველი, რაც აქ ჩამოსვლისთანავე გეცემა თვალში, ესაა ქალაქის ცხოვრების დაძაბული და



სრულიად თავისებური რიტმი. განუწყვეტლივ დასრიალებენ მარგანეცით დატვირთული ვაგონეტები ქალაქის თავზე, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები ხმაურობენ დღისით და ღამით, რკინიგზის სადგურზე ყვირიან ელმავლები და მარგანეცით დატვირთული მატარებლები მიეშურებიან ყვირილის ხეობით, ქვევით.

ეს იმიტომ, რომ ჭიათურის მარგანეცს ელიან რუსთავში და ზესტაფონში; ელიან მეტალურგიული ქარხნები: დონბასში, ურალზე, აზოვისპირეთსა და დნეპრისპირეთში; ელიან პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კორეაში, ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში. რადგან შავ მეტალურგიას არ შეუძლია არსებობა უმარგანეცოდ და მსოფლიოში არ არსებობს მანგანუმის მადნეული — ჭიათურის მადნეულზე უკეთესი. ეს ამბავი ბავშვმაც იცის ჭიათურაში. სწორედ ეს ავსებს სიამაყით ამ ქალაქის ყველა მკვიდრს. თუმცა „მკვიდრი“ რა სათქმელია. განა აუცილებელია აქ დაიბადო, რომ ეს ქალაქი შენად იგრძნო?

აბა, ჰკითხეთ ქიონა კახიანს ან ვენერა ერქომაიშვილს — რომელია მათი მშობლიური ქალაქი. მალე ოცდაათი წელი იქნება, რაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრეს და აქ ჩამოვიდნენ სამთო ინჟინრის დიპლომებით ხელში.

თბილისიდან ორივე მარგანტრესტში გაანაწილეს სამუშაოდ. ორივემ მაღარო აირჩია. ქალს კი არა, კარგ ვაჟკაცს უძნელდება მიწისქვეშ მუშაობა. მაგრამ რაც პირველ წლებში ახალგაზრდულმა ხალისმა და ენერგიამ დააძლევინათ, შემდეგ ის პრაქტიკით და დიდი გამოცდილებით შესძლეს.

ორ ათეულ წელზე მეტხანს იმუშავეს მაღაროებში. იმუშავეს თითქმის ყველა სპეციალობით. დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრიან მთავრობის დადგენილებას მიწისქვეშა სამუშაოებიდან ქალთა განთავისუფლების შესახებ. მაგრამ მალე მათი ცოდნა და მრავალწლიანი სტაჟი ტრესტში დასჭირდათ და იქ გადაიყვანეს.

დილაა, გვიანი ზაფხულის გრილი დილა. ამ დროს ნინოშვილის ქუჩაზე მზე მხოლოდ ხეების კენწეროებს აშუქებს, თვითონ ქუჩაში კი ვერ ჩამოუღწევია — მრავალსართულიანი შენობები უშლის. როგორც ყოველთვის, ახლაც მარგანტრესტის შენობისკენ მიეშურება ორი ტანადი, იერიანი ქალი. გამვლელი თუ გამომვლელი მოწიწებით აძლევენ სალამს. მათ აქ იცნობენ, უყვართ და აფასებენ. ამ ქალაქში გაიარა მათი ახალგაზრდობის, სიყვარულის და გატაცებების წლებმა. აქ ეყოლა ქიონას ვაჟი, რომელიც სულ ახლახან დაქორწინდა და ვენერას ტყუპი ქალიშვილი. აქ მიიღეს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრების მაღალი წოდება და მრავალი ჯილდო. დაბოლოს, აქ ჰყავთ მეგობრები, რომლებთან ერთად ბევრი გაჭირვება გადაუტანიათ და ბევრი საამაყო გამარჯვება უნახავთ. და განა შეიძლება ახსენო ეს ორი ქალი, რომ იქვე არ ახსენო რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრები ლენა ტოროშელიძე, თანა ნადირაძე და რიმა ფერაძე, რომელიც ჯერაც ვერ გამოუყვანიათ მაღაროდან და მართლაც რომ ვაჟკაცური შრომითი ბიოგრაფიის პატრონია (23 წელია მიწისქვეშა სამუშაოზე ბურღვა-აფეთქების ცვლას ხელმძღვანელობს!).

ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ შრომითი ენთუზიაზმი გადამდებია. მართლაც, ამ ქალების მაგალითზე ქართული მარგანეცის ქალაქში ახალგაზრდა ინჟინერი ქალების ღირსეული თაობა აღიზარდა.

ათი წლის წინ, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა მაღაროში ნენო შეყლაშვილი. ჯერ გეოლოგის დამხმარე მუშა იყო, მერე ესტოკადზე მუშაობდა კონტროლიორად და მაღაროდან გამოსული მადნის ხარისხს ამოწმებდა; დაუსწრებელი ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მაღაროს ტრანსპორტზე დისპეტჩერად დაიწყო მუშაობა — თერთმეტი-თორმეტი ელმავალი იყო მის განკარგულებაში. დისპეტჩერს „მაღაროს ღერძს“ ეძახიან ჭიათურაში. მის ორგანიზაციულ უნარზე და სიფხიზლეზე ბევრადაა დამოკიდებული, რომ წამითაც არ შეფერხდეს უბნებში მადნეულის მონგრევა და გამოზიდვა. ნენოს მუშაობა მოსწონდათ სამმართველოში, ახლაც მოსწონთ, თუმცა სხვა სამუშაოზეა — რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განყოფილების ინჟინერია ახალ ითხვისში.

ასეთ განყოფილებებს კი სამუშაოს რა დაულევს ჭიათურაში! შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ჭიათურის მარგანტრესტს რესპუბლიკურ ფონდში უნდა შეეტანა ოთხი მილიონი მანეთის ეკონომია. ჭიათურელ რაციონალიზატორთა წყალობით ოთხი მილიონი მანეთი დაიზოგა ექვს წელიწადსა და სამ თვეში...

* * *

ნაშუადღევის პაპანაქებაა ჭიათურაში. შავ კლდეებში მოქცეულ გავარვარებულ ქალაქს სულს ძლივს უდგამს ხეობაში მქროლავი სუსტი ნიავი. აქ კი, ქალაქგარეთ, დარკვეთის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის ესტოკადზე ისეთი ქარია, რომ თითქმის გრილა.

მადნეული მაღაროდან აქ ელმავლებით მოაქვთ. ესტოკადზე ვაგონებს ბუნკერებში ცლიან და იწყება მისი გადამუშავება — რთული ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ძალიან მარტივად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: გიგანტური სამტვრეველები თანდათან აქუცმაცებენ მადნეულს, მერე სალექ მანქანებში, უზარმაზარ ვარცლებში რეცხავენ და აცილებენ ფუჭ ქანებს. დაბოლოს, მზა კონცენტრატი ელევატორებით მიდის ბუნკერებში, საიდანაც ელმავლის ვაგონები ივსება.

ფაბრიკა ახალია, ხუთი წელია, რაც აშენდა ორი მოძველებული ფაბრიკის ბაზაზე და ბენიამინ ჩხიკვაძე, მისი გამგე, მაშინაც სულ აქ ფუსფუსებდა, მოდერნიზებულ მექანიზმებს დასტრიალებდა და სწავლობდა. თითქმის ოცდაათი წელია, ბენიამინი ფაბრიკის გამგედ მუშაობს. პენსიაზე გასვლა შეუძლია, მაგრამ სახლში უქმად ყოფნას რომ წარმოიდგენს, ტანში ზარავს. უთენია გამოდის ხოლმე სახლიდან. ახლა რა უჭირს — ავტობუსები, მატარებლები და მანქანები დადიან დარკვეთში. იყო დრო, ფეხით დადიოდა — ტრანსპორტი ჭირდა.

სხვა საჩხუბარი რა ექნებათ ბენიას და მის ცოლს, ეს რომ არა: — კაცო, სახლისკენ ქენი პირიო! ბენია ცდილობს, ცოლს წაუყრუოს, ხანდახან ამართლებს კიდეც გუნებაში, მაგრამ ეს არის, რაც არის, ხომ ვერ გადაკეთდება კაცი!

სამაგიეროდ თვითონ სხვებს ეჩხუბება ფაბრიკაში. მთელი დღე დარბის კაფანდარა, ახალგაზრდულად მოუსვენარი, თვალის დახამხამებაში გადადის ერთი სექციიდან მეორეში და, ვაი იმის ბრალი, თუ ვინმეს უგულობა ან სიზარმაცე შეამჩნია. მაგრამ მისი ჩხუბი არავის წყინს: იციან, შეყვარებულია კაცი თავის საქმეზე, თავის ფაბრიკაზე და პატივს სცემენ ამ სიყვარულს.

**მედეა ლაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. კაპანაძე

დროდადრო ბენია სადისპეტჩეროში შეირბენს ხოლმე. მნემოსქემაზე და ტელევიზორში ხელისგულივით ჩანს მთელი წარმოება. ამ საღამოს სადისპეტჩეროში ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი თინა კაპანაძე მორიგეობს. თინა მშვენივრად ერკვევა ფაბრიკის ტექნოლოგიაში, ჭკვიანი და საზრიანი გოგოა. წეღან მნემოსქემაზე დიდი ნათურა ჩაქრა და დისპეტჩერმა მაშინვე დაურეკა მეორე დამტვრევის კორპუსს. სანამ ავარიის მიზეზს შეეკითხებოდა, ნათურა უკვე აინთო— თურმე ღარი ყოფილიყო გაბიდნილი.

ახლა ფაბრიკაში ყველაფერი რიგზეა. თინა ტელევიზორის ხრახნს ატრიალებს და იმ სექციას ეძებს, სადაც გოგი სხირტლაძეა ცვლის უფროსი. გოგი პირშექცეული დგას და თინა მხოლოდ მის მხრებს ხედავს. უცებ ზურგს უკან ხითხითი ესმით: „რა ქენი, გოგო, ამ საღამოს ერთი ხუთჯერ თუ მაინც დაინახე შენი ქმარი?“ შებრუნდება და ფაბრიკის გამგეს ხედავს — ეშმაკურად მოუჭუტია თვალები და იცინის. თინა მტყუანივით იღიმება — საპატარძლო ყავლი ჯერ არ გასვლია და კიდევ ვერ შეჩვევია ასეთ გახუმრებას. სანამ პასუხს მოიფიქრებდეს, მოიხედავს და ბენია იქ აღარ დგას. ახლა ის ქარივით დაჰქრის სართულიდან სართულზე, ვიწრო რკინის კიბეებზე, გზადაგზა მუშებს ეხუმრება, აცინებს და თვითონაც გულიანად იცინის. ამ საღამოს გამგე კარგ ხასიათზეა და ყველამ იცის, რომ ფაბრიკაში საქმე ძალიან კარგად მიდის.

ახლა საღამო დგება დარკვეთში. გამამდიდრებელი ფაბრიკის ურიცხვ ფანჯრებში ჩამუქებულიცა ისედება. ამაღამ აქ მთავარი ენერგეტიკოსი გერონტი ბუაძე მორიგეობს და ბენიას ისე აქვს მისი იმედი, როგორც საკუთარი თავის. მაგრამ ფაბრიკას მაინც ვერ ელევა და უკანასკნელად, ვინ იცის, მერამდენედ, თავიდან უვლის. მერე კი თავის ოთახში შედის და კომუტატორს მიუჯდება.

* * *

რვა საათზე საღამოს მოსმენა იწყება (ერთი მოსმენა დილითაა) და მთელ ჭიათურაში თავთავიანთ კომუტატორებს მიუსხდებიან მაღაროთა სამმართველოს უფროსები, ფაბრიკების გამგეები, ტრესტის ხელმძღვანელები და განყოფილებათა გამგეები.

ახლა აქ არ არიან ტრესტის მმართველი ლევან გოშხეთელიანი, მთავარი ინჟინერი მიხეილ აფაქიძე და მოსმენას მედეა ლაბაძე იბარებს — საწარმოო განყოფილების უფროსი. თავდაპირველად, როგორც ყოველთვის, ლენინის მაღარო პატაკობს და პირველი წინადადება, რომელიც, ჩვეულებრივ, მედიკოს ესმის, არის — „მარცხი არაა“. (ვინ მოთვლის, რამდენი ათეული მილიონი დაიხარჯა იმისათვის, რომ ეს წინადადება ასე ჩვეულებრივად ქცეულიყო). მედეას ხელში ავტოკალამი უჭირავს და მაგიდაზე გადაშლილ ცხრილში შეაქვს მაჩვენებლები, რომელ უბანზე რამდენი მადნეული მოინგრა, რამდენი გადამუშავდა. ეს მაჩვენებლები ხვალ უნდა გადასცეს თბილისში. შემდეგ საწარმოო განყოფილების გამგე კითხულობს, რა სჭირდებათ მაღაროებს, გამამდიდრებელ ფაბრიკას. თურმე, დღეს ლენინის სახელობის მაღაროში დიდი ელექტროძრავა დაზიანებულა. სხვებთან ერთად ამ გადაცემას უსმენენ ენერგეტიკოსები (ისევე,როგორც მექანიკოსები) და უკვე იღებენ სასწრაფო ზომებს.

მოსმენა გრძელდება. თითქმის ყველა სამმართველო გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

მედეა უსმენს და ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ხელში უჭირავს ქალაქის მაჯა და მის გულისცემას ითვლის.

ქალაქი უკვე ლამპიონებითაა გაჩაღებული, როცა შენობას ტოვებს. დილიდან გამოსულმა მხოლოდ ერთხელ შეირბინა სახლში. დანარჩენი დრო ან ტრესტში იყო, ან მაღაროში, ან დამყვან ფაბრიკაში. რა ჰქნას, წამყვან განყოფილებას ხელმძღვანელობს და მისთვის არ არსებობს არც საათები და არც ცვლები. წუხელ სამ საათზე მაღაროში მთავარი საზიდი ჩამოინგრა, ოთხის ნახევარზე უკვე იქ გაჩნდა მედეა.

მისი შორიდან დანახვაც კი ამშვიდებს გაჭირვებაში ჩავარდნილებს. რაღაც ძალა შეიგრძნობა ლამაზ და ღონიერ ტანში, მაღლა აწეულ თავსა და თამამ, ჭკვიან მზერაში.

ნინო შეყლაშვილი



ახლა მედეა სახლისკენ თითქმის სირბილით მიდის. დღის ბოლოს მის გოგონას დაურეკია ტრესტში: „დეიდა მერი, დედა ისევ მაღაროშია?“. ალბათ, ჯერაც არ დაუძინია და დედას ელის. ელისომ იცის, რომ დედა დიდ, ძალიან დიდ საქმეს აკეთებს და უნდა ყველაფერი დაწვრილებით იცოდეს. ხუთი წლის გოგონას თოჯინებზე უფრო მანქანის ტიპები და მარკები აინტერესებს. მამამისს, ქირურგ გრიშა ტყემალაძეს, მის ტიკტიკზე ეცინება ხოლმე და დედის გასაგონად ამბობს: „რაღა გიჭირს, თუ დედაშენივით ინჟინერი გამოხვედი, არც დღე იქნები შინ და არც ღამე“. მედეა კი გოგონას კოცნის და ეუბნება: „ღმერთმა დაგიფაროს ჩემნაირი სამსახურისგანო“ და თვალებით ქმრის თვალებს აწყდება, რომელსაც გაზეთიდან თავი აუღია და იჭვნარევი ღიმილით შესცქერის. მისი ღიმილის შემხედვარეს, ცოლს გულიანად ეცინება და როცა ხედავს, რომ ბავშვი შეკითხვით ხან ერთს უყურებს და ხან მეორეს, უკვე სრულიად სერიოზულად ამბობს: „იცი, გენაცვალე, მე რომ ახლა ვამთავრებდე სკოლას და ათასი არჩევანი მქონდეს, ისევ ჩემს სპეციალობას ავირჩევდი...“

გრიშა ნიშნის მოგებით თავს იქნევს; ვითომ, ასეც ვიცოდი, მაგას ფიქრობდიო, და გაზეთს უბრუნდება. მედიკო სადიასახლისო საქმეს ჰკიდებს ხელს და მხოლოდ ძალიან გვიან იცლის წიგნებისათვის.

ქალაქში უკვე ყველას სძინავს, იმათ გარდა, ვინც ღამის ცვლაში მუშაობს. მედეას საძილე ოთახში გვიან ქრება შუქი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ხნით? მას სძინავს და ძილშიც ყური ტელეფონისკენ აქვს, იქნებ საიდანმე დარეკონ...

* * *

ამ დროს რკინიგზის სადგურიდან თბილისისაკენ გადის ელმავალი. შენ ბლოკნოტები და რვეულები ჩანაწერებით გაქვს აჭრელებული და საშინლად წუხარ, რომ ყველა ამ ჩანაწერს ვერ გამოიყენებ რეპორტაჟში — ძალიან ბევრი იქნება სათქმელი. წინასწარ დარდობ იმაზე, რომ შენს მკითხველებს ვერც კი ჩამოუთვლი იმ სახელოვანი მუშებისა და სპეციალისტების სახელებს, რომლებიც ასე ბევრია ჭიათურაში. თუმცა გინდა ყველაზე უამბო. გინდა დაწერო მანანა ღუღუნაშვილზე, ციალა წერაშვილზე, ნადია შარვაძეზე, ნინო ბრეგვაძეზე, შესანიშნავ ინჟინერზე და ინტელიგენტზე, ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის დირექტორზე — გრიგოლ ასათიანზე, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებზე, ყველა იმათზე, ვინც მთელი თავისი ნიჭით და უნარით მაღალი ამოცანის შესრულებისთვის იბრძვის. მაგრამ ყველაფერი ეს ერთი დიდი წიგნის თემაა...



თ. კახიანი და ვ. ერქომაიშვილი

სადგურზე ზარი ირეკება და ვაგონის სარკმელში მიცურავს ელნათურებით განათებული ქალაქი, რომლის ერთ ქუჩაზე, მწვანედ შეღებილ სახლში ბევრი კარგი დღე დაგიღამებია, სადაც შეგიყვარდა ფიქრი და წაიკითხე შენი ყველაზე საყვარელი წიგნები.

ის ძალიან შეცვლილა და მომავალში შეიცვლება კიდევ უფრო მეტად. აშენდება უზარმაზარი საფლოტაციო ფაბრიკა, აშენდება კაშხალი მდინარეზე. და ყვირილა, შენი შავი ყვირილა დაიწმინდება და სხვა მდინარეებს დაემსგავსება. კაშხალთან მისი დონე აიწევს, გაკეთდება დიდი და ლამაზი წყლის სარკე. ქალაქგარეთ კი აშენდება ახალი ფაბრიკები, ქარხნები, ქალაქი უფრო გაიზრდება და კეთილმოწყობილი გახდება.

მაგრამ რაც უნდა გაიზარდოს, ის მაინც შენი ქალაქი იქნება. და თუნდაც წლობით არ მოაკითხო, მიგიღებს ისე გულღიად, როგორც მრავალი წლის წინ, გაზაფხულზე გეღებულობდა — შავი კლდეების გულზე აფეთქებული თეთრი ალუბლებით.

**ნ. ბარათაშვილი**



# ჩემი გმირი

ჩემი გმირი 23 წლისაა. მაღალია, შავგვრემანი. იგი საქართველოს ულამაზეს კუთხეში — კახეთში დაიბადა. არ გინახავთ სიღნაღი? მაშ, საქართველო არ გინახავთ. თუ მაღალი მთის კონცხთან ალაზნის ველისათვის არ გადაგიხედიათ ,ნუ იტყვით, სილამაზე მიგრძვნიათ: ბურუსის თხელ საფარველში გახვეული უკიდეგანო ველი, რბილი ფუნჯით მოხატული შორეული კავკასიონის კონტურები... ველზე მზისმიერი შუქჩრდილების თამაში... ჰოდა, ჩემი გმირი აქ დაიბადა, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში. ოცდასამი წელია ამ სილამაზეს შეჰყურებს, ამ შრომისმოყვარე ხალხში ტრიალებს. ბავშვობიდანვე შეეჩვია შრომას მისი ხელი. არდადეგებზე ოჯახს შველოდა, კომუნისტ მამას და დედას. ახლა მამა მოტყდა, ავადმყოფობამ დარია ხელი. ამიტომ სასწავლებლად ქალქისაკენ არ გაუწევია. მისი მოსიყვარულე გული ვერ გაძლებდა უოჯახოდ, უმეგობრებოდ. ჩასვლით კი ჩავიდა თბილისში, გამოცდები ჩააბარა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტად ჩაირიცხა და ისევ კოლმეურნეობას დაუბრუნდა, მევენახეთა ახალგაზრდულ ბრიგადას. მერე სოფლის კომკავშირელებმა კომიტეტის მდივნად აირჩიეს, გამგეობამ რგოლი ჩააბარა — აბა, თქვენ იცით, თქვენი იმედი გვაქვსო. რგოლშიც მხოლოდ ახალგაზრდები არიან, მისი თანატოლები: მაყვალა და ქუქუნა კოჭლამაზაშვილები, მარო გოჩიტაშვილი და კიდევ სხვები, ქვემობოდბიდან თუ ზემობოდბიდან. თავადაც მაყვალა ჰქვია, მაყვალა კოჭლამაზაშვილი. თუ ესტუმრებით, მაშინვე თავის ზვარში წაგიყვანთ თხუთმეტ ჰექტარზე გაშენებულ რქაწითელს ფეხდაფეხ დაგატარებთ. რგოლს ეამაყება ეს ზვარი. ადრეული გაზაფხულიდანვე რომ თვალისჩინივით უვლიან: გათოხნა, გაფურჩქვნა, სარეველას გამოცლა, შეყელვა, მერე ისევ გათოხნა, ისევ გაფურჩქვნა, ოთხჯერ, ხუთჯერ... ბორდოს ხსნარით შეწამვლა, წაწვენა, რომ გაზაფხულის ქარმა და წვიმამ ნორჩი ყლორტები არ გაუსხიპოს, არ დაუზიანოს. ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, მეტად შრომატევადი.

როცა შუადღის მზე ნაბამბარისა და ნაომრის ველებს გადმოხედავს, ქალიშვილები ტყეს მიაშურებენ. მხიარულ შესვენებას მიეცემიან დაბურულ ტყეში. სახლიდან წამოღებულ საგზალს მიუმატებენ საერთო სუფრას. აქ, ამ ჩეროებში ხშირად წიგნიც გაიტაცებთ ხოლმე. მორიგეობით კითხულობენ გორკისა და ჩეხოვის ნაწარმოებებს, ლეო ქიაჩელსა და კონსტანტინე გამსახურდიას. „ახალგაზრდა გვარდიაც" აქ წაიკითხეს და „როგორ იწრთობოდა ფოლადიც".

მერე ისევ წამოშლის მერგოლური გოგოებს. ისევ ზვარს მიაშურებენ.

— ერთ რამეზე წყდება მხოლოდ გული მაყვალასა და მის რგოლს, — ღიმილით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე ბიკაშვილი, — უწინ ბრიგადაც ახალგაზრდული იყო. წელს კი „გვიღალატეს" ახალგაზრდებმა.

მაყვალა ჯიუტად ჩამოშლილ თმას ისწორებს:

— წავიდნენ. უმაღლეს სასწავლებლებში წავიდნენ, დაუსწრებელი არ იკადრეს ზოგიერთებმა.

— იქნებ, მართლებიც არიან, მაყვალა. შრომა და სწავლა რომ ერთმანეთს შეუთავსო, ალბათ ძალიან ძნელია.

რგოლის წევრები აბუზღუნდნენ:

— ჩვენც ასე არ ვსწავლობთ, განა? განა ხელს არ ვუწყობთ ერთმანეთს?

მართლაც ძალიან უწყობენ ხელს. აქ ვლინდება სწორედ მათი კოლექტიური სულისკვეთება: წელიწადში ორჯერ უშვებენ ამხანაგებს თბილისში მეცადინეობასა და გამოცდებზე. ნუ გეშინიათო, აბარებს რგოლის ხელმძღვანელი, თქვენს ნაცვლად ჩვენ ვიმუშავებთ, გაათკეცებითო. ოღონდ თქვენ არ შერცხვეთ, კარგად ჩააბარეთ საგნები. რგოლს აქ არაფერს გავუჭირვებთო.

იცის მაყვალამ, ეს იოლი საქმე როდია. მაინც მეგობრებისათვის თავდადება დიდ კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია. ზოგჯერ თავად გზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სახლში ასეთ სტუდენტებს — წადით, იმეცადინეთ. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვისო.

ზარმაცობას კი არავის აპატიებენ.

რგოლს არ უყვარს გულხელდაკრეფით, უქმად ყოფნა. თავის საქმეს რომ მოათავებენ, თვალი სხვებისაკენ მიურბით, ხომ არ უჭირთ რაიმე, ხელის წაშველება ხომ არ უნდათო. და კოლმეურნეებიც, მესიმინდეები, მეაბრეშუმეები, მებაღეები, მადლობით ლაპარაკობენ მაყვალასა და მისი რგოლის შესახებ.

მაყვალას ჭიაურის ტყეში მიყავს ახალგაზრდები — აბრეშუმის ჭიას თუთის ფოთოლი უნდა, რაც შეიძლება ბევრი, ძალიან ბევრი. გოგოები ტყეში, ან თუთის ხეების ნაკვეთებზე მიდიან, ადიან ხეებზე და გრილ ფოთლებს ჰკრეფენ.

ჭიის სადგომთან სამი ხნიერი დედაკაცი ჩამუხლულა. ერთი წინდასა ჰქსოვს.

— დაწერეთ, შვილო, დაწერეთ, კარგი ახალგაზრდები არიან. გვეხმარებიან, გვეშველებიან.

მაყვალა იღიმება, უხარია რგოლის ქება ფრთხილად ჰკრეფს ჭიებს, ახალ საფენს უშლის, ზედ ფოთოლს ახვავებს.

— ბევრი ჭამა უნდათ, ამ დალოცვილებს...

წელს ბუნებამ დაალალატა, ძალიან დაალალატა: სეტყვამ გადაუარა მათ ნაამაგარ ზვარს. შეკრული მტევნები დაგლიჯა, დასხიპა ფოთლები და ძირს დააწვინა ვაზი. ცრემლებით აევსო თვალი მაყვალას, თითქოს ფრთა შეეკვეცა, აღარ ეხალისება სტუმრის ვენახში ჩაყვანა.

— ვუვლით, ძალიან ვუვლით, მაგრამ, რა.

— რაღა ჩვენს ნაკვეთს გადაუარა იმ ოხერმა სეტყვამ! — სინანულით იქნევს თავს რომელიღაც.

წარბშეკრული მაყვალა საყვედურით უყურებს — ჩვენი იყო თუ სხვისა, სულერთი არაა? ეგ რა წამოგცდაო.

მაინც ელიან მოსავალს, თითზე ითვლიან დღეებს.

— თუმცა, რა — იცინის მაყვალა. — ეს სამი წელია, რთველს არ დავსწრებივარ. მაინცდამაინც რთვლობისას ვარ თბილისში, ლექციებზე.

— ჰო, ასეა, — ამბობს თავმჯდომარე — აქედან ვატყობინებთ რთველის ამბავს.

ზვარში საფრთხობელები ჩაუყენებიათ. ქარი ატკაცუნებს მათ დაგლეჯილ სამოსს. ვითომ ფრთხებიან ჩიტები? არა და არა. თურმე ურდოებივით ეცემიან ყურძენს. „თავზე რომ წავადგებით, მაშინღა ძლივს აფრინდებიან ხოლმეო“. ამიტომ მწიფე ვენახში მორიგეობით ჩამოდიან რგოლის წევრები, აფრთხობენ „ავაზაკებს“.

— მაყვალა, თქვენ მგონი, ეკონომიურზე სწავლობთ, არა?

— ჰო. — სინანულით ამბობს გოგო. — ნეტავ სასოფლო-სამეურნეოზე შევსულიყავი.

აღარ ვეკითხები, რატომ ნანობ-მეთქი. გამგები გაიგებს:

ვერა, ვერ მიატოვებს მაყვალა შეჩვეულ საქმეს, საყვარელ მეგობრებსა და კოლმეურნეობას!

**ნაზი კილასონია**

ლეილა ნანიტაშვილი

## ვუმღერ შენს ნათელს

ვუმღერ შენს ნათელს, წარსულ დიდებას,
ხვალინდელ დღეს და
მომავალ აწმყოს,
გოლიათ მთებში თერგის დინებას,
ტალღაზე ტალღას
შმაგად რომ აწყობს.

შენს მაღალ სახლებს,
სინათლით სავსეს,
და სიმწვანეში ჩაძირულ მამულს,
შენი სიცოცხლის
დარსა და ავდარს
და ვარსკვლავების მხიარულ დავლურს.

მთებს გოლიათებს,
ლამაზ გარიჟრაჟს,
კორდზე აღმართულ ამაყ ხარ-ირემს,
ჟუჟუნა წვიმას,
ხასხასა ველზე
პატარძლებივით მორთულ ყვავილებს.

ვის შეუძლია რომ არ უყვარდეს
შენი ბაღების
მზვარე და ჩერო.
შენსას ყველაფერს ვეთაყვანები
სამშობლოვ ჩემო,
სამშობლოვ ჩემო!

* * *

შენა ხარ ჩემთან, როს გული მტკივა,
უხვად პოულობ ჩემთვის იმედებს,
შენ ყოველივეს იმეტებ თბილად,
რასაც ცხოვრება ძუნწად იმეტებს.

მინდა ვიცოდე, რა ფიქრი გმოსავს,
როცა მიშუშებ გულის იარებს,
ეჰ, რად იჩქარე ამქვეყნად მოსვლა
და ან მე რისთვის დავიგვიანე!

მანანა აბრამიშვილი

## წ ყ ა რ ო

დამლიე, დამლიე, ბოლომდე დამცალე...
ისევ ავივსები.
შორს, უვალ მთებშია ჩემი სათავე,
თუნდაც უდაბნოთა წყურვილით
გწყუროდეს,
მე ვერ გამათავებ,
ო, ისე შორს არის ჩემი სათავე...
უხილავ წყაროთა ჩუხჩუხით ვივსები,
წყარო ვარ,
დამლიეთ, დამლიეთ, დამცალეთ!
მე არ დავიცლები.
მე ისევ ვივსები.
მიუვალ მთებშია ჩემი სათავე...

გრიგოლ ჯულუხიძე

## სოფლელ ქალიშვილს

დიდი სახლები, დიდი ქუჩები,
დიდი ქალაქის აურზაური,
შენთვის თავიდან იყო უჩვევი,
გასაოცარი და უცნაური.

ათასში ერთხელ ტოვებდი ოთახს
თვალს არიდებდი გამვლელებს გვერდით,
შენ უცოდველი თვალები გქონდა
და აპრილივით უმანკო მკერდი.

ეს იყო წინათ, ეს იყო ერთ დროს,
თეთრი დღეები კრთებოდნენ ასე...
შენს წინ ქალაქი ჭაღივით ენთო
გამოუცნობი ამინდით სავსე.

გელანდებოდა უშგული ღამით,
და შუაცეცხლის ძლიერი სითბო...
ენგურზე უფრო მოგწონდა მტკვარი,
მაგრამ ენგური გიყვარდა უფრო.

შენ ნაკადული იყავი მშვიდი,
რომელსაც დიდი მდინარე შეხვდა,
და გაგიფანტა სიმშვიდე დიდი
ჯერ გამოუთქმელ ფიქრებთან ერთად.

გული აგენთო, ემსგავსა რაიც
ქარში აღმართულ დროშების ფრიალს,
და მოაღწია შენამდე მაინც,
რაც მოაღწევდა ადრე თუ გვიან.

და დაიბადე ისევე ახლად,
შორს გასაფრენად შეგესხა ფრთები,
სამყარომ მძლავრი ხელები გახლო,
ქარით აგევსო პატარა თმები,

მერე ნელნელა გაგიტყდა ძილი,
ვიღაცამ შენთვის იყიდა ია,
შენი ფიქრები ესმოდა თბილისს
და ღამე სარკმელს ტოვებდი ღია.

ასეა ახლა,
ასეა ახლა,
სიცოცხლეს როცა ღიმილით ივსებ, —
შენს გულს პატარა ტკივილი ახლავს
ისევ და ისევ,
ისევ და ისევ.

კვლავ გელანდება უშგული ღამით,
და შუაცეცხლის ძლიერი სითბო,
იცი, ენგურზე დიდია მტკვარი,
მაგრამ ენგური გიზიდავს უფრო.

ჯეკ ლონდონი



მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ქალი თამამად დადიოდა საღამური ნათურების მკრთალი შუქით განათებულ ვრცელ ტალანებსა და ოთახებში. ახლახან გაახსენდა, რომ სადღაც ლექსების წიგნი დატოვა, ბარემ ჩავიკითხავო, იფიქრა და ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერსად იპოვა. სადარბაზო ოთახში რომ შევიდა, სინათლე აანთო და მის თხელ, ვარდისფერ ხალათზე ელექტრონის სხივები აციმციმდა. ხალათს იმდენი მაქმანი ჰქონდა მოვლებული, რომ თითქმის მთლიანად უფარავდა ყელსა და შიშველ მხრებს. გვიან იყო, მაგრამ ჯერ არც ოქროსფერი ბულულა თმა ჩამოეშალა და არც ბეჭდები მოეხსნა თითებიდან. ნაზი და კოხდენილი ქალი გახლდათ. თხელ, მოგრძო სახეს ლალის ბაგეები უმშვენებდა. ლაწვებზე ატმისფერი გადაჰკრავდა. ცისფერი თვალები ათასნაირად ეცვლებოდა: მათში ხან ბავშვური უმანკოება იყო ჩაბუდებული, ხან ზამთრის სუსხი და, ხან კი ჭირვეულობისა და მბრძანებლობის ალი.

ქალმა შუქი ჩააქრო, დერეფანში გავიდა და მისაღები ოთახისაკენ გაემართა. კართან შეჩერდა და სმენა გაამახვილა. ხმა არ გაუგონია, ისე იგრძნო, რომ ოთახში რაღაცამ გაიჩუჩუნა. არა, მართლაც არაფერი გაუგონია, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც მოხდა. ღამის მყუდროება დარღვეული იყო და გაოცებულმა ქალმა გაიფიქრა — ნეტავ რომელი მოსამსახურე დაბორიალობს ოთახშიო. მოურავზე და მსახურ ქალზე არც უფიქრია. მოურავი, თუ რაიმე დიდი ამბავი არ შეუშლიდა ხელს, ადრე იძინებდა ხოლმე, მსახური ქალი კი თვითონვე გაათავისუფლა მთელი ღამით.

სასადილო ოთახს რომ ჩაუარა, კარი მიხურული დახვდა. რატომ გააღო და შევიდა, თვითონაც ვერ გეტყოდათ. იქნებ იმიტომ, რომ სწორედ აქ ეგულებოდა ის რაღაცა, ასე რომ შეაფიქრიანა. ოთახში ბნელოდა. ქალმა ხელის ცეცებით იპოვა ღილაკი და თითი დააჭირა. ოთახს კაშკაშა შუქი რომ მოეფინა, ქალმა უკან დაიწია და ამოიხვნეშა. ღილაკთან ვიღაც კაცი კედელს ზურგით აჰკვროდა და რევოლვერს უმიზნებდა. ქალი ძალიან დაფრთხა, მაგრამ მაინც შენიშნა, რევოლვერი გრძელი და შავი იყო და, იფიქრა „კოლტიაო“. საშუალო ტანის, უხეიროდ ჩაცმულ, მზემოკიდებულსა და თაფლისფერთვალა კაცს სულ არ ეტყობოდა აღელვება. რევოლვერი მტკიცედ ეჭირა ნახევრად მოხრილ ხელში და პირდაპირ მუცელში უმიზნებდა.

— ოჰ, — წამოიძახა ქალმა, — მაპატიეთ, თქვენ ისე შემაშინეთ, რომ... რა გნებავთ?

— რა მნებავს და აქედან გაბრძანება, — უპასუხა უცნობმა და დამცინავად მოკუმა ტუჩები, — როგორღაც ასე მოხდა. იცით, დავიბენი ამ ბინაში და ახლა თუ თქვენ სიკეთეს გამოიჩენთ და გასასვლელს მიჩვენებთ, ისე ავითესები აქედან, რომ არაფერს დაგიშავებთ.

— კი მაგრამ, აქ რა საქმე გაქვთ? — ჰკითხა ქალმა მკაცრად. ეტყობოდა, იგი მბრძანებლობას იყო მიჩვეული.

— ისეთი არაფერი, ქალბატონო. საქურდლად შემოვედი. აქ იმიტომ ვხეტიალობდი, რომ რაიმე შეპოვნა. მეგონა, შინ არ იყავით. წეღან დავინახე მოხუცთან ერთად რომ წახვედით, ავტოთი. მაშინ მივხვდი, რომ მისტერ სეტლიფის ქალიშვილი ხართ.

ქალს ეამა ეს უნებლიე ქათინაური და უცნობისათვის აღარ უთქვამს, სეტლიფის ქალიშვილი კი არა, მეუღლე ვარო.

— რა იცით, რომ სეტლიფის ქალიშვილი ვარ?

— განა ეს მოხუცი სეტლიფის სახლი არაა?

ქალმა თავი დაუქნია.

— მე არც კი ვიცოდი, თუ ქალიშვილი ჰყავდა. ჩემით მივხვდი. ახლა კი, თუ ძალიან არ შეწუხდებით, მართლაც მადლობელი ვიქნები, თუ აქედან გასასვლელ გზას მიჩვენებთ.

— კი, მაგრამ, რატომ უნდა გიჩვენოთ? თქვენ ხომ ქურდი და ბანდიტი ხართ.

— მე რომ არიფი არ ვიყო, ამდენს კი არ გელაპარაკებოდით. ავიღებდი და მაგ ბეჭდებს სულ წაგაძრობდით თითებიდან. მაგრამ, მე სეტლიფის გასაძარცვავად მოვედი და ქალებთან საქმე არა მაქვს. თუ ჩამომეცლებით, მე თვითონ გავიკვლევ გზას.

მისის სეტლიფი გონიერი ქალი იყო და მიხვდა, რომ ამისთანა კაცისა მაინცდამაინც არ უნდა შეშინებოდა. ეტყობოდა, იგი ნამდვილი ქურდი არ იყო. ლაპარაკი სოფლური ჰქონდა და ოთახში თითქოს უკიდეგანო ველების სიო შემოჰყოლოდა.

— რომ ვიკივლო? — იკითხა ქალმა, — ხალხს რომ მოვუხმო საშველად? მაშინ რას იზამთ, მესვრით?... ქალს მოკლავთ? — ქალი თვალებში მიაჩერდა ქურდს და შეატყო, რომ შეკითხვამ დააბნია. კაცი დაფიქრდა და მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქოს ძნელ ამოცანას ხსნისო, უპასუხა:

— მე მგონი, მაშინ დაგახრჩობთ, ან დაგარტყამთ რამეს.

— ქალი რომ ვარ?

— სხვა გზა არ მექნება, — უპასუხა ქურდმა და სახეზე სიმკაცრე გამოესახა, — მართალია, თქვენ მხოლოდ სუსტი ქალი ხართ, მაგრამ ჩემი ჩაჭერა არ იქნება. არა, მისს, არაფრით არ შემიძლია ციხეში წასვლა. იქეთ, დასავლეთში, მეგობარი მელოდება. გაჭირვებაშია ჩავარდნილი და ჩემი იმედი აქვს. — კაცს კიდევ უფრო გაუმკაცრდა სახე — იმედი მაქვს, ისე მოგახრჩობთ, რომ ძალიან არ იწვალოთ.

ქალმა ფართოდ გაალო თვალები და ბავშვური ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

— პირველად ვხედავ მძარცველს და ასე ამიტომ გიყურებთ, — აუხსნა მან, — ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიტაცებს თქვენთან საუბარი.

— მე მძარცველი არა ვარ, მის. ესე იგი ნამდვილი, — დაამატა, როცა ქალის დამცინავ ღიმილს შეასწრო თვალი, — ახლა, თქვენს სახლში რომ ვარ, ასე იფიქრებს კაცი, მაგრამ მე პირველად ვარ ასეთ საქმეზე. ფული მჭირდება. ისე ძალიან მინდა, რომ... გარდა ამისა, მხოლოდ იმის აღებას ვაპირებდი, რაც მეკუთვნის.

— ვერ გავიგე, — თქვა მისის სეტლიფმა და გასამხნევებლად გაუღიმა კიდეც, — თქვენ აქ გასაძარცვავად მოხვედით და, ძარცვა ნიშნავს იმის აღებას, რაც ადამიანს არ ეკუთვნის.

— ეგრეც არის ხოლმე და სხვანაირადაც. აქ სხვანაირად არის საქმე, მაგრამ, მგონი, სჯობს მოვშორდე აქაურობას.

კაცმა მეორე ოთახში მოინდომა გასვლა, მისის სეტლიფმა გზა გადაუჭრა. ქურდმა დააპირა მარცხენა ხელით ჩამოეშორებინა გზიდან ეს მომხიბლავი დაბრკოლება, მაგრამ შემდეგ შეყოყმანდა და შეჩერდა. იგი მთლად მოინადირა ქალის სინატიფემ.

— ხომ ხედავთ! — აღტაცებით წამოიძახა მისის სეტლიფმა, — ვიცოდი, რომ ხელს არ მახლებდით.

— ძალიან ძნელია. ოღონდ, თუ იყვირეთ, აღარ დაგინდობთ.

— განა არ შეგიძლიათ კიდევ ცოტა ხანს დარჩეთ და მესაუბროთ? — შეეხვეწა ქალი — მე ისე ძალიან მაინტერესებს... მინდა ამიხსნათ, როგორ არის, რომ ძარცვა იმის აღებაა, რაც გეკუთვნით.

კაცმა აღტაცებით შეხედა მისის სეტლიფს:

— მე ყოველთვის მეგონა, რომ ქალებს ძალიან ეშინიათ ქურდებისა, მაგრამ თქვენ სულ არაფერი გეტყობათ.

ქალმა კისკისით უპასუხა:

— ქურდს გააჩნია. თქვენი სულ არ მეშინია. მწამს, რომ ქალს არ აწყენინებთ. მოდი, ცოტა ხანს ვიმუსაიფოთ. ხელს არავინ შეგვიშლის. — სულ მარტო ვარ: ჩემი... მამაჩემი საღამოს მატარებელს გაჰყვა ნიუ-იორკში, მსახურებს სძინავთ. მინდა გაგიმასპინძლდეთ. ქალები ხომ რაიმეს მიართმევენ ქურდებს, როცა უნდათ, რომ ცოტა ხნით დააყოვნონ. მოთხრობებში ასე სწერენ ხოლმე. ეგ კია, რომ არ ვიცი საჭმელი სადაა შენახული. იქნებ დალიოთ რამე.

ქურდი შეყოყმანდა, მაგრამ არაფერი უპასუხა. მისის სეტლიფმა თვალებში შეატყო, რომ საბოლოოდ მოხიბლა იგი და უთხრა:

— ხომ არ გეშინიათ? გეფიცებით, არ მოგწამლავთ, თუ არა გჯერათ, მეც დავლევ.

— მართლა კარგი ვინმე ხართ, — წამოიძახა კაცმა და იარაღი ძირს დაუშვა. — აღარავინ მითხრას ქალაქელი ქალები მფრთხალები არიანო. აი, თქვენ... პატარა, სუსტი, ლამაზი და ასეთი ყოჩაღი! თანაც, ეგრე მენდობით. ბევრი ქალი, თუნდა კაციც, არ იქნებოდა ასე იარაღიან კაცთან.

ნასიამოვნებმა ქალმა გაიღიმა და მიამიტად უპასუხა:

— იმიტომ არ მეშინია, რომ მომეწონეთ. ისეთი შეხედულება გაქვთ,



რომ ვერავინ იტყვის, ბანდიტიაო. ამისთანა ამბებს თავი უნდა დაანებოთ, თუ ბედი არ გწყალობთ, მუშაობა უნდა დაიწყოთ. მოდი, ეს საზიზღარი რევოლვერი გვერდზე გადადეთ და მოვილაპარაკოთ. თქვენთვის ახლა სამუშაოს შოვნაა მთავარი.

— ამ ქალაქში არაფერი გამოვა, — ნაღვლიანად თქვა ქურდმა, — ქუსლებზე ტყავი გადამძვრა სიარულით, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ერთ დროს მეც კაცი ვიყავი... ვიდრე სამუშაოს ძებნა მომიხდებოდა.

ქალმა მხიარული სიცილი შეაგება ქურდის აღსარებას და როცა მიხვდა, რომ მისი მრისხანება დაცხრა, გადაწყვიტა დრო აღარ დაეკარგა — კაცს მოშორდა და პირდაპირ ბუფეტს მიაშურა.

— მოდით, მიამბეთ ყველაფერი. მანამდე რაიმე სასმელს ვიპოვნი. რას დალევთ, ვისკის?

— დიახ, ქალბატონო, — უპასუხა კაცმა და თვითონაც ბუფეტისაკენ წავიდა, მაგრამ რევოლვერი კვლავ ხელში ეჭირა და ღია, დაუცველ კარისკენაც ეჭვიანად იმზირებოდა.

მისის სეტლიფმა ბუფეტთანვე გაუვსო ჭიქა და მერე გაუბედავად დაიწყო:

— დაგპირდით, თქვენთან ერთად დავლევ მეთქი, მაგრამ მე... ვისკი არ მიყვარს... ხერესი მირჩევნია.

— რა თქმა უნდა, — უთხრა კაცმა და თან თავიც დაუქნია, — ვისკი მამაკაცის სასმელია. სულ არ მომწონს, როცა ქალი სვამს. ქალებს ღვინო უფრო უხდებათ.

მისის სეტლიფმა ჭიქა ასწია, ქურდს მიბნედილი თვალები მიაშტერა და დაიწყო:

— გისურვებთ წარმატება გქონოდეთ... — მაგრამ უცებ გაჩუმდა და ქურდს მიაჩერდა. მას ერთი ყლუპი თუ მოესვა ჭიქიდან და ახლა ზიზღით იმანჭებოდა.

— რა მოხდა, არ მოგეწონათ? ხომ არ შემეშალა?

— უცნაური ვისკია. თითქოს დაუწვავთო. სულ ბოლის გემო აქვს.

— ოჰ, რა სისულელე ჩავიდინე! თურმე შოტლანდიური მომიცია, თქვენ კი ალბათ პურისაზე ხართ მიჩვეული. მოიტა, შევცვალოთ.

ქალმა დიდი მზრუნველობით გამოცვალა ჭიქა და ბუფეტიდან სხვა ბოთლი გამოიღო.

— უკეთესია?

— დიახ, ქალბატონო. ბოლის სუნი არ უდის. ეს უეჭველად ნამდვილი საქონელია. მთელი კვირაა წვეთი არ დამილევია. საუცხოოა. სქელია. ეტყობა ქარხნის არ არის.

— თქვენ, მსმელი ხართ? — გამომწვევად ჰკითხა ქალმა.

— არა, ქალბატონო. ჩემზე ეგ არ ითქმის. იყო, რომ მაგრად გამოვტყვრებოდი ხოლმე, მაგრამ ძალიან იშვიათად. ხანდახან კი ერთი ჭიქა მართლა გაცხონებს. აი, როგორც ამ წუთას. ახლა კი, მადლობა კარგი მიღებისათვის. უკვე უნდა მოვუსვა.

მაგრამ მისის სეტლიფს არ უნდოდა ასე ადვილად გაეშვა თავისი ქურდი ხელიდან. იგი ჭკუადამჯდარი ქალი იყო, გულს ადვილად არ აჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ამ უცნაურმა ამბავმა მაინც გაიტაცა. თანაც იცოდა, რომ შიში არაფრისა იყო. ეს უზარმაზარყბებიანი და მკაცრთვალებიანი კაცი საოცრად თვინიერი გამოდგა. ამას გარდა, ხშირად ახსენდებოდა თავისი აღტაცებული მეგობრები და არ უნდოდა ხელიდან გაეშვა შესაძლებლობა, რომ...

— თქვენ არ ამიხსენით, როგორ ხდება, რომ ქურდი მხოლოდ იმას იტაცებს, რაც ეკუთვნის. მოდით, აი აქ, მაგიდასთან დაჯექით და მიამბეთ.

მან სკამი დაიდგა და ქურდს კი თავის პირდაპირ მიუჩინა ადგილი. კაცი კვლავ ფრთხილობდა, თვალებს ხან აქეთ-იქით აცეცებდა, ხან კი აღტაცებით მიაშტერებდა ხოლმე ქალს. მისის სეტლიფმა ისიც შენიშნა, რომ ქურდი თითქმის არ უსმენდა, უფრო გარედან შემოსულ ხმებს აყურადებდა და, მაგიდის კუთხეში, მარჯვენა ხელთან დადებულ რევოლვერსაც არ ივიწყებდა.

მაგრამ იგი აქ ხამად იყო. დასავლეთში, ტყეში ან ველზე რომ ყოფილიყო, არც დაუნახავი დარჩებოდა რაიმე და არც გაუგონარი. იგი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა, ყველაფერს ზომავდა, მაგრამ, აბა, რა იცოდა, რომ მაგიდის ქვეშ, სწორედ ქალის ფეხთან, ელექტრონის ზარის ღილაკი იყო. ასეთი რამე არც გაეგონა და ვერც წარმოედგინა, ამიტომ მისი სიფრთხილე და მიხვედრილობა უძლური აღმოჩნდა.

— იცით, ეს აი ასეა, მის, — დაიწყო მან, რადგან დაატყო, რომ ქალი აღარ მოეშვებოდა,— მოხუცმა სეტლიფმა ერთ პატარა საქმეში გამაცურა. გაუგონარი რამ იყო, მაგრამ მდიდარს ყველაფერი გასდის. მე არა ვწუწუნებ. არც ვემდური მამათქვენს. იგი სულ არ მიცნობს და ალბათ არც იცის, რომ გამატყავა. დიდი კაცია, მილიონებს ატრიალებს და ჩემისთანა ჭიაღუებს არ იცნობს. თვითონ უფროსია. ათასნაირი მცოდნე ხალხი ჰყავს და ისინი ფიქრობენ და მუშაობენ მისთვის. ზოგი მათგანი, ალბათ, შეერთებული შტატების პრეზიდენტზე მეტ ხელფასს იღებს. მამათქვენს ჩემისთანა ათასობით ეყოლება გაფცქვნილი. მეტი რაღა გითხრათ...

— იცით, ქალბატონო, მე პატარა მოწყობილობა მედგა მიწაში, კოხტა იყო. წყლით მუშაობდა. ერთი ცხენის ძალა ჰქონდა და პირადად მე მეკუთვნოდა, მაგრამ როცა მაგ სეტლიფმა და მისმა ბიჭებმა აიდაჰო ხელში ჩაიგდეს, სადნობი ტრესტი გადააკეთეს, მიწები წაიღეს და თვინ-პინსში დიდი წყლის მანქანა დადგეს. მაშინ მე, რა თქმა უნდა, გავიჭედე. რაც ჩავაყარე, ისიც ვერ ამოვიღე და მაშინვე ავიხვეტე იქედან. ჰო და ამაღამ, ასე ჯაყვლეფილი, შემოვედი მამათქვენის გასაქურდავად. ჩემი მეგობარი გაჭირვებაშია და ისე მჭირდება ფული, რომ ესღა მოვიფიქრე.

— ვთქვათ, რომ ყოველივე რაც თქვენა თქვით, მართალია. მაინც სახლის გატეხვა სახლის გატეხვაა. სასამართლო თქვენ დაგდებთ ბრალს.

— ვიცი, — მაშინვე დაეთანხმა ქურდი, — უდანაშაულო ხშირად ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯება და ამიტომაა, რომ ასე დამფრთხალი ვზივარ აქ და ისე გელაპარაკებით. განა იმიტომ, რომ არ მომწონხართ! — არა, ნამდვილად მომწონხართ, მაგრამ ჩემი დაჭერა არ იქნება. ვიცი, რაც მომელის ამ ქალაქში. ერთ ბიჭს იმ კვირას 50 წელი აჰკიდეს. ვიღაცას დახვდა და ორი დოლარი და 25 ცენტი წაართვა. გაზეთში წავიკითხე. როცა უქონლობაა და სამუშაოც არ იშოვნება, კაცი ცოფდება. მერე ისინიც, ვისაც წასართმევი აქვს რაიმე, გამაგდებიან და ყველას ცხვირპირს ამტვრევენ ხოლმე. მე რომ ჩავვარდე, ათ წელს მაინც მომაკერებენ. ამიტომაა, რომ ასე მეჩქარება აქედან მოცოცხვა.

— არა... მოიცადეთ, — მისის სეტლიფმა ისე ასწია ხელი, თითქოს მისი შეჩერება უნდოდა და თან ფეხი მოაშორა ზარს, რომელსაც ხანგამოშვებით რეკავდა ხოლმე. — თქვენ სახელიც კი არ მითხარით.

ქურდი ცოტა შეყოყმანდა და მერე უთხრა:

— დეივი დამიძახეთ.

— აი რა, დეივ, — ქალმა დაბნეულად, მაგრამ საყვარლად გაიცინა, — რაიმე უნდა მოგიხერხოთ. ახალგაზრდა კაცი ხართ და თანაც პირველად დაადექით ცუდ გზას. თუ ახლა იმას იპარავთ, რაც თითქოს თქვენ გეკუთვნით, მომავალში იმის მოპარვასაც დაიწყებთ, რაც არ გეკუთვნით. საბოლოოდ კი, ხომ იცით, რა გელოდებათ! განა არა სჯობს რაიმე პატიოსანი სამუშაო ვიშოვნოთ?

— მე ფული მჭირდება და თანაც ახლავე, — თქვა ქურდმა ჯიუტად, — ჩემთვის კი არა, იმ ამხანაგისათვის, წეღან რომ გეუბნებოდით. მაგრადაა ჩავარდნილი და ახლა თუ არ ეშველა რაიმე, მერე მორჩა!

— მე შემიძლია ადგილი გიშოვნოთ და ფულსაც გასესხებთ, რომ მეგობარს გაუგზავნოთ. მერე ჯამაგირიდან გადამიხდით. — სხაპა-სხუპით უთხრა ქალმა.

— სამასი დოლარი მეყოფოდა, — დინჯად დაიწყო კაცმა, — სამასი ამომიყვანდა. ამას თუ მომცემთ, მაჭმევთ და დღეში რამდენიმე ცენტსაც გაიმეტებთ, რომ ბულ დურჰამი ვიყიდო, მთელ წელიწადს ფეხჩაუკრეფლად ვიმუშავებ.

— ოჰ, თქვენ ეწევით? მე აზრადაც არ მომსვლია. — ქალმა ხელი გაიწოდა და ქურდს ყვითელ ლაქებზე ანიშნა, რომელიც რევოლვერზე დადებულ ხელზე ემჩნეოდა. ამავე დროს თვალით გაზომა მანძილი რევოლვერამდე. გულით უნდოდა ერთი სწრაფი მოძრაობით მოეტაცნა. დარწმუნებული იყო მოახერხებდა, მაგრამ მაინც ეშინოდა. ბოლოს თავს მოერია და უკან გამოსწია ხელი.

— მოწევა არ გინდათ?

— საშინლად.

— მაშინ მოსწიეთ. მე არ შევწუხდები. მიყვარს კიდეც, როცა ეწევიან. ალბათ სიგარეტს ეწევით.

კაცმა ჯიბიდან პაპიროსის დაჭმუჭნული, ყვითელი ქაღალდი ამოიღო და მარჯვენა ხელთან დაიდო. მერე კვლავ ჩაიყო ჯიბეში ხელი და ქაღალდზე ერთი მწიკვი, ყავისფერი, მსხვილად დაჭრილი თამბაქო დადო. შემდეგ ორივე ხელი რევოლვერზე დადო და სიგარეტის გახვევა დაიწყო.

— ისე ებღაუჭებით მაგ საზიზღარ რევოლვერს, თითქოს ჩემი გეშინოდეთ. — უსაყვედურა ქალმა.

— თქვენი სულ არ მეშინია, ქალბატონო, მაგრამ მაინც რაღაც ვერა ვარ ვაჟკაცურად.

— მე რომ არ შემეშინდა!

— არაფერს ჰკარგავდით და იმიტომ.

— ვითომ სიცოცხლეს არა ვკარგავდი?

— მართალი ხართ, — მაშინვე დაეთანხმა ქურდი, — ჰკარგავდით და მაინც სულ არ შეშინდით. მგონი, მართლაც მეტისმეტად ფრთხილი ვარ.

— მე არაფერს დაგიშავებთ, — უთხრა ქალმა და კვლავ დააჭირა ფეხი ზარს, თან გულღიად და სერიოზულად შეხედა თვალებში. ქურდს, — როგორც ვატყობ, ცუდად ერკვევით ადამიანებში, განსაკუთრებით ქალებში. მე ვცდილობ ცუდ გზას აგაცდინოთ და პატიოსან შრომაში ჩაგაბათ, თქვენ კი...

— ბოდიშს ვიხდი, ასეთი აფორიაქებაც არ შეიძლება. — დაირცხვინა კაცმა, მარჯვენა ხელი აიღო რევოლვერიდან, სიგარეტს მოუკიდა და წევა დაიწყო.

— მადლობელი ვარ ნდობისათვის, — ნაზად ჩაილაპარაკა ქალმა, რევოლვერს თვალი მოაცილა და უფრო მაგრად დააწვა ზარის ღილაკს.

— იმ სამას დოლარზე მოგახსენებთ. მე შემიძლია ამაღამვე გადავაგზავნო დასავლეთში და თანახმა ვარ ერთი წელი ვიმუშაო, ოღონდ, საჭმელი უნდა მაჭამოთ.

— მეტსაც აიღებთ. სულ ცოტა 75 დოლარი შემიძლია შემოგთავაზოთ თვეში. ცხენების მოვლა იცით?

კაცს სახე გაუბრწყინდა. თვალებში სიხარულის ნაპერწკალი აუკიაფდა.

— ჰო და ჩემთან იმუშავებთ, ან მამაჩემთან. მოსამსახურეებს მე ვქირაობ ხოლმე. მეორე მეეტლე მჭირდება.

— მერე ფორმა უნდა ჩავიცვა? — დამცინავად შეაწყვეტინა თავისუფალი დასავლეთის შვილმა.

ქალმა ლმობიერად გაიღიმა:

— ეტყობა, ეს ხელობა არ მოგწონთ. მოიცათ, მოვიფიქრო. დიახ. შეგიძლიათ ულაყების გახედვნა?

კაცმა თავი დაუქნია.

— ჩვენ მესაქონლეობის ფერმა გვაქვს და იქ სწორედ თქვენისთანა კაცი გვინდა. იმუშავებთ?

— იმუშავებო? — გაიმეორა ქურდმა კითხვა და მადლობითა და აღტაცებით შეხედა მისის სეტლიფს. — ბრძანეთ, სად არის და თუნდაც ხვალვე დავიწყებ. ერთი რამ ნამდვილად შემიძლია დაგპირდეთ: არასოდეს არ ინანებთ, რომ გაჭირვებაში ხელი გაუწოდეთ ჰიუგი ლიუკს.

— მგონი წეღან თქვით, დეივი დამიძახეო, — უსაყვედურა მისის სეტლიფმა.

— მართალია, ქალბატონო, ეგრე ვთქვი. მაპატიეთ. მოგატყუეთ, მაგრამ დიდი არაფერი დანაშაულია. ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი ჰიუგი ლიუკია. თუ მესაქონლეობის ფერმის მისამართსა და გზის ფულს მომცემთ, ხვალ დილას პირდაპირ იქ წავალ.

მთელი ამ საუბრის დროს ქალი წამითაც არ ივიწყებდა ზარს. ყველანაირ ნიშანს აძლევდა: სამ მოკლესა და ერთ გრძელს, ორ მოკლესა და ერთ გრძელს, ხუთს ზედიზედ. ერთხელ რამდენიმეჯერ მოკლედ დარეკა და მერე მთელი სამი წუთი ფეხი არ აუღია ღილაკიდან. გულში ხან სულელსა და მძინარე მოურავს ლანძღავდა, ხან კი ფიქრობდა, ნამდვილად ზარია მოშლილიო.

— ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დასთანხმდით. ეს საქმე ძნელი მოსაგვარებელი არ არის, მაგრამ ზევით უნდა გამიშვათ, რომ საფულე ჩამოვიტანო.

ქალმა შეამჩნია, რომ ქურდს თვალებში ეჭვმა გაუელვა და სწრაფად დაატანა: — კი მაგრამ მე ხომ გენდობით სამას დოლარს.

— მჯერა, ქალბატონო, მაგრამ ნერვებს ვეღარ ვერევი.

მისის სეტლიფმა კვლავ ითხოვა წასვლის ნებართვა, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდა, შორიდან რაღაც ხმაური მოესმა და მიხვდა, რომ ვიღაცამ სასადილო ოთახის კარი გააღო. ხმა ისეთი სუსტი იყო, რომ ელოდა, თორემ ვერ გაიგონებდა, მაგრამ ეს ოდნავი ჰაერის შერხევა კაცსაც არ გამოეპარა და მაშინვე შეშფოთებით იკითხა: რა იყოო? პასუხის ნაცვლად მისის სეტლიფმა მარცხენა ხელით სწრაფად აიტაცა რევოლვერი. კაცი ამას არ ელოდა. იგი იმავე წამს ეცა რევოლვერს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— დაჯექი! — უბრძანა ქალმა უცნაური მკაცრი ხმით. — არ გაინძრე, ხელები მაგიდას არ მოაცილო!

მისის სეტლიფმა კარგი გაკვეთილი მიიღო: მძიმე იარაღი გაჭიმულ ხელში კი არ დაიჭირა, იდაყვი მაგიდას დააყრდნო და ლულა მკერდში მიუშვირა ქურდს. ჰიუგი წყნარად იჯდა და ქალის ბრძანებებს ემორჩილებოდა. იგი მიხვდა, რომ თუ იარაღის წართმევას დააპირებდა, ტყვიას მიიღებდა. მისის სეტლიფს ხელი არ უკანკალებდა და კაცმა ადვილად წარმოიდგინა ამ რბილთავიანი ტყვიისაგან დატოვებული ხვრელის სიდიდე. ახლა ჰიუგი ჩახმახს მისჩერებოდა. იგი აწეული იყო, რადგან ქალი სასხლეტს აწვებოდა.

— უნდა გაგაფრთხილოთ, რომ სასხლეტი სუსტი აქვს. ძალიან ნუ აწვებით, თორემ კაკლისოდენა ნახვრეტი დამრჩება ტანში.

ქალმა ოდნავ დაუშვა ჩახმახი.

—ასე უკეთესია, — შენიშნა კაცმა, — ისე კი, ჯობს, სულ დაუშვათ. ხომ ხედავთ, რა კარგად მუშაობს. თუ დაგჭირდებათ, ერთი სწრაფი გამოკვრით გადასწევთ. უკან, მერე დაეცემა და თქვენი ლამაზი იატაკი კიდევ უფრო დამშვენდება.

კარი გაიღო და ოთახში ვიღაცა შემოვიდა, მაგრამ ჰიუგის თავი არ მიუბრუნებია. იგი ქალს მისჩერებოდა და ატყობდა, რომ ეს სულ სხვა ადამიანი იყო — ცივი, დაუნდობელი, უწყალო და მაინც გასაოცრად ლამაზი. თვალებიც კი მკაცრი და სუსხიანი ჰქონდა.

— თომას, — უბრძანა მან მოსულს, — ტელეფონთან მიდით და პოლიციას გამოუძახეთ. ამდენხანს სად იყავით?

— როგორც კი ზარის ხმა გავიგონე, მაშინვე წამოვედი, მადამ.

ჰიუგი თვალს არ აცილებდა მისის სეტლიფს. ქალიც ჯიქურ მისჩერებოდა თვალებში და შენიშნა, რომ იგი ზარის ხსენებაზე ცოტა არ იყოს გაოცდა.

— მაპატიეთ, მადამ. — უპასუხა მოურავმა, — განა უკეთესი არ იქნება იარაღი ავიღო და მსახურები გავაღვიძო?

— არა. პოლიციას გამოუძახეთ. მანამდე მე თვითონ გავაჩერებ ამ კაცს. წადით და ასე გააკეთეთ. სწრაფად.

მოურავი ფლოსტების ფლატუნით გავიდა ოთახიდან, ჰიუგი და მისის სეტლიფი კი კვლავ პირისპირ შერჩნენ ერთმანეთს. ქალი ნეტარებით დნებოდა, როცა გაიფიქრებდა, თუ რა მითქმა-მოთქმა ატყდებოდა ხალხში ამ ამბავზე. უკვე ხედავდა ცნობას მაღალი საზოგადოების ქრონიკებში: ახალგაზრდა და მშვენიერმა მისის სეტლიფმა ცარიელი ხელით შეიარაღებული ქურდი დაიჭირაო. დარწმუნებული იყო, რომ ეს მთელი სენსაცია იქნებოდა.

— როცა იმ სასჯელს მიიღებ, წეღან რომ ამბობდი, — ცივად დაიწყო ქალმა, — საკმაო დრო გექნება საფიქრებლად. აი, მაშინ მიხვდები, თუ რა სულელი იყავი, როცა სხვისი ქონების მოპარვა დააპირე და თანაც ქალს რევოლვერით დაემუქრე. ამ გაკვეთილს არასოდეს არ დაივიწყებ. ახლა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომატყუო: მართლა გყავს ის ვიღაც გაჭირვებული ამხანაგი თუ სულ ტყუილები მელაპარაკე?

კაცმა პასუხი არ გასცა. იგი ქალს უმზერდა, მაგრამ ვერა ხედავდა, წინ თითქოს ფარდა ჩამოუფარესო. ჰიუგის ახლა დასავლეთის მზიანი, უსაზღვრო მინდორ-ველები ედგა თვალწინ. იქ ადამიანები ამ აღმოსავლეთის დამპალი ქალაქების გათახსირებულ მცხოვრებლებზე ათასჯერ უფრო პატიოსნები იყვნენ.

— რას გაჩუმებულხარ, ილაპარაკე, იცრუე. რატომ არ მეხვეწები გამიშვიო?

— იქნებ შეგხვეწებოდი კიდეც, — კაცმა ენა მოისვა გამხმარ ტუჩებზე, — ალბათ შეგეხვეწებოდი, რომ...

— რომ რა?

— რა და, აი, იმ სიტყვებს ვეძებ, წეღან რომ გამახსენე... ჰო, იმას ვამბობდი. შეგეხვეწებოდი, რომ უნამუსო ქალი არ იყო.

— ფრთხილად იყავი, — უთხრა მთლად გაფითრებულმა მისის სეტლიფმა.

— შენ ვერ გაბედავ ჩემს მოკვლას, — ზიზღით ჩაიცინა ჰიუგმა. — ქვეყანა ნამდვილად საზიზღარი ყოფილა, რადგან თქვენისთანებს აზოგინებს, მაგრამ, არა მგონია, იმდენად გაფუჭებული იყოს, რომ ჩემი მოკვლა დაგანებოს. გათახსირებული კი ხარ, მაგრამ, შენდა საუბედუროდ, ძალა არა გაქვს. კაცის მოკვლა არაა ძნელი. მაგრამ ვერ გაბედავ. ძალიან სუსტი ხარ.

— ცოტა ჭკუა დაატანე ნათქვამს, თორემ გეუბნები, რომ ცუდად წაგივა საქმე. ჩემზეა დამოკიდებული მძიმე განაჩენს გამოგიტანენ თუ მსუბუქს.

— ღმერთს რაღაცა სჭირს, რომ თქვენისთანებს ყველაფრის ნებას აძლევს. ვერ გამიგია, რატომ ამასხარავებს საწყალ ხალხს ასე. მე რომ ღმერთი ვიყო...

ამ დროს მოურავი მობრუნდა და ჰიუგმაც შეწყვიტა ლაპარაკი.

— მგონი ტელეფონი მოიშალა, მადამ. ალბათ მავთულები გადაეხლართა ერთმანეთს, ან სხვა რაიმე მოხდა. ვერაფრით ვერ გავაგონე ქვესადგურს.

— წადით, რომელიმე მსახური გააღვიძეთ, პოლიციელის მოსაყვანად გაგზავნეთ და ისევ აქ მობრუნდით, — ბრძანა მისის სეტლიფმა.

მოურავი გავიდა.

— ქალბატონო, ერთ კითხვაზე ვერ მიპასუხებთ? იმ მოსამსახურე კაცმა ზარი ახსენა. მე კატასავით გითვალთვალებდით და ნამდვილად ვიცი, რომ ზარი არ დაგირეკიათ.

— ზარი მაგიდის ქვეშაა, სულელო კაცო. მე ფეხს ვაჭერდი.

— გმადლობთ, ქალბატონო. წეღან ვიფიქრე, ამნაირები მგონი წინადაც მინახავს-მეთქი. ახლა დავრწმუნდი, რომ მართლა ასეა. მე სიმართლეს გეუბნებოდი, გენდობოდი, შენ კი თურმე სატანასავით მატყუებდი.

ქალმა დამცინავად ჩაიხითხითა:

— განაგრძე, ნურაფერს დამალავ. ძალიან საინტერესოა.

— თვალებს მინაბავდი, ნაზად და კეთილად მაჩვენებდი თავს. ქალი რომ ხარ, იმით ისარგებლე და გამაცურე. თან მთელი ამ ხნის განმავლობაში ფეხს აჭერდი ზარს. რას ვიზამ. ისე მაინცა და მაინც უბედურად კი არა ვთვლი თავს. მირჩევნია ათი წელი მოვიხადო, ვიდრე ეგეთი ვიყო. ჯოჯოხეთი თქვენისთანა ქალებით არის სავსე.

ჰიუგი გაჩუმდა, მაგრამ ქალს თვალი არ მოაშორა. იგი თითქოს სწავლობდა მისის სეტლიფს და თან რაღაცის გადაწყვეტას ლამობდა.

— განაგრძე, — ჩააჟინდა ქალი, — თქვი რამე.

— დიახ, ქალბატონო, მე ვიტყვი რამეს, ნამდვილად ვიტყვი. იცი, რას ვაპირებ? მე ვაპირებ ავდგე ამ სკამიდან და აი, იმ კარით გავიდე ოთახიდან. იარაღს წაგართმევდი, მაგრამ შეიძლება გასულელდე და ისროლო. გქონდეს ეგ რევოლვერი. ისე, კარგი რამე კი არის. ჰო, როგორც ვამბობდი, მე მივდივარ პირდაპირ იმ კარისაკენ და შენ არ გაისვრი. კაცს რომ ესროლო, მამაცი უნდა იყო, შენ კი ჯაბანი ხარ. ახლა მოემზადე. ერთი ვნახოთ, გამოჰკრავ თუ არა სასხლეტს თითს. მე არაფერს გიპირებ. მხოლოდ მივდივარ. ვიწყებ.

ჰიუგმა სკამი უკან დასწია და ნელნელა გაიმართა წელში. თან თვალს არ აშორებდა მისის სეტლიფს. ჩახმახი ნახევრად აიწია. ახლა ორივენი ჩახმახს მისჩერებოდნენ.

— უფრო მაგრად დააწექი, — ურჩია კაცმა, — ჯერ ნახევარზე არაა მისული... მიდი, დააწექი და მოკალი ადამიანი. იცით რა არის მკვლელობა? ტვინი იატაკზე დაენთხევა. მკერდში შენი მუშტისოდენა ხვრელი გაუჩნდება... აი ამას ჰქვია ადამიანის მოკვლა.

ჩახმახი ხტუნვა-ხტუნვით იწეოდა ზევით. კაცი შებრუნდა და ნელი ნაბიჯით წავიდა კარისკენ. ქალმა რევოლვერის ლულა გააყოლა მის ზურგს. ჩახმახი ორჯერ აიწია, მაგრამ ორივეჯერ უნდილად დაბრუნდა უკან.

კარებთან კაცი შემოტრიალდა და ღვარძლიანი ღიმილით ხმადაბლა, მაგრამ გარკვეულად შეაგინა ქალს. ამ ბილწ გინებაში მან მთელი ის ზიზღი და სიძულვილი ჩააქსოვა, რაც ამ საღამოს დაუგროვდა.

ინგლისურიდან თარგმნა **ანდუყაფარ ჭეიშვილმა**

**ნაირა ნიჟარაძე**

## სათაფლიაზე

იის საკრეფად უნდა წავიდე
და სათაფლია შემოვიარო.
უზეიმზაროდ მხვდებიან მთები,
უზეიმზაროდ...

გულთეთრ გვირილებს ვეხები თითით
და ხეზე დამსხდარ ჩიტუნებს ვითვლი.

მზით გამთბარია შემოგარენი
ყაყაჩოსავით მრუმეთვალება.
ჭიამაია ნაზი თვალებით
და ჭრელი კაბით მოიპარება...

ხეთა ფესვები სავსეა იით,
მწვანე ტოტები ცვარნამის მძივით.

იის საკრეფად უნდა წავიდე
და სათაფლია შემოვიარო.
უზეიმზაროდ მხვდებიან მთები,
უზეიმზაროდ...

## მზეო

ფიქრობს ლერწამი ზეცას ავწვდეო,
მზისკენ მაღლდება თანდათანობით.
შიშობს შროშანი — არ გავშავდეო,
სახეს იფარავს დაფნის წყალობით.

მზეო, რა დიდი ძალა გქონია —
გაიღვიძებ და ცეცხლად ჩაღდები.
გაზაფხულია და მეც მგონია
ამ ლერწამივით შენსკენ ვმაღლდები.

## ვარძია

რა იდუმალი
არის ჩურჩული ჩუმი ნიავის.
ამ მღვიმეებთან დგას ალუბალი,
მწვანე კუნელი და შავქლიავი.

ჩამუქებულა როგორც ოცნება
მეფე თამარის ძველი ვარძია.
აქ ახლა ლანდი დადის მლოცველად,
ოქრო ატლასის კაბა აცვია...

აქ რბოდა თამარ მზესა და დარში,
და საყვარელი იყო ვარძია.
თითქოს მღვიმიდან იძახის ბავშვი:
„აქა ვარ, ძია“.

# მადლობის წერილები კუჭავას



მატარებელი ფრონტისკენ მიდიოდა. კუპეში იყო სამი თამარი: თამარ კუჭავა, თამარ ცქვავა და თამარ გიორგაძე. ვაგონში თითქმის ყველას ეძინა. თამარ კუჭავამ სარკმლიდან გარეთ გაიხედა. ბნელი ღამე იწვა თოვლიან ველზე.

—ახლა კი დროა დავიძინოთ, საცაა ალბათ გათენდება, — თქვა თამარმა და მაზარა გადაიფარა. ქალიშვილებმაც მილულეს თვალი. ორთქლმავალი კი ისევ მიარღვევდა სიბნელეს, ირწეოდა ვაგონი, ხრჭიალებდნენ ბორბლები...

თხუთმეტი დღის შემდეგ სამხედრო ეშელონი სტანიცა კრიმსკაიაში გაჩერდა. თამარ კუჭავა და მისი მეგობრები ვაგონიდან ჩამოვიდნენ. ირგვლივ დიდი თოვლი იდო, ალაგ-ალაგ ხანძრისაგან გარუჯული და დანახშირებული სახლების კედლებიღა მოჩანდა. მებრძოლები მანქანებში ჩასხდნენ და ფრონტისწინა ხაზისაკენ დაიძრნენ.

თამარი და მისი მეგობრები ფრონტისწინა ხაზზე სახელდახელოდ გახსნილ საველე ლაზარეთში შეუდგნენ დაჭრილი მებრძოლების მიღებას და მკურნალობას. ერთ ღამეს, ის იყო ცოტა ჩასთვლიმა თამარმა, რომ მძიმედ დაჭრილები მოიყვანეს, უფროს ლეიტენანტს ვალერი პარფინსკის ძლიერი სისხლისდენისაგან სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. საჭირო იყო სასწრაფოდ სისხლის გადასხმა.

— მე ვაძლევ ჩემს სისხლს!

— თქვენ? — გაოცებით შეხედეს თამარს.

სისხლი გადაუსხეს თუ არა, ვალერის სიცოცხლე დაუბრუნდა. თამარის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და იმ ღამით სამი მძიმედ დაჭრილი იხსნეს სიკვდილისაგან.

მტერი წინ მოიწევდა. საბჭოთა მებრძოლები დროებით იხევდნენ უკან. საველე ჰოსპიტალში ღამით ბრძანება მოვიდა — სასწრაფოდ გადაეყვანათ დაჭრილები.

თამარ კუჭავამ ფეხზე დააყენა ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალი, დაჭრილები სანიტარულ მანქანებში ჩასხა და გზას გაუყენა. კარგა გათენებული იყო, შორიდან მტრის თვითმფრინავების ზუზუნი რომ მოისმა. სანიტარული მანქანების ქარავანმა გაუვალ ტყეს შეაფარა თავი. ჰაერში მეკობრეებიც გამოჩნდნენ, ჩამოყარეს ყუმბარები და ცის უნაპირო ოკეანეში გაუჩინარდნენ. სანიტარულმა მანქანებმა ქერჩამდე ჩააღწიეს. თამარ კუჭავამ ერთ ორსართულიან შენობაში სახელდახელოდ გახსნილ ლაზარეთში მოათავსა დაჭრილები.

ხედავდა თამარი ნაცრადქცეულ სოფლებს და სულში ნაღველი ეწვეთებოდა. უკვე გაზაფხული იყო, მზე უხვად აფრქვევდა სხივებს დედამიწას, ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა, მაგრამ თამარის გულს არაფერი არ ახარებდა. რამდენი რამ ნახა და განიცადა ამ ორი წლის მანძილზე, რამდენი მძიმედ დაჭრილი მებრძოლი დაიღუპა მის თვალწინ. საველე ლაზარეთში მფრინავი ოთარ გოქაძე რომ მოიყვანეს, პირველი თამარი მიიჭრა მასთან: „გაახილე თვალი, ჩვენა ვართ, ბიჭო!" ოთარის, თანამემამულის სიტყვები რომ ჩაესმა, შეირხა, თვალი ოდნავ გაახილა და შემდეგ სამუდამოდ დახუჭა...

თამარ კუჭავას საველე ჰოსპიტალი ხშირად იცვლიდა ადგილმდებარეობას. ტუაფსეში მისვლისას ქალაქი ცეცხლის ალში გახვეული დახვდათ. დანახშირებული სახლები ჯერ კიდევ ბოლავდა, საველე ლაზარეთი ქალაქის ერთ-ერთ განაპირა ადგილზე გახსნეს. მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ერთერთი დაბომბვისას დაიღუპა ლაზარეთის აფთიაქის გამგე მიშა მინინი,ამიტომ გარეგანი სამკურნალო საშუალებების დამზადება თამარმა ითავა. ლაზარეთის ერთ-ერთი დაბომბვის დროს იგი დაიჭრა. სოჭის სამხედრო ჰოსპიტალში ერთ თვეს უმკურნალეს და თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გამოგზავნეს, თავის ტვინის დაზიანებისა და ჰიპერტონული დაავადების გამო თამარს ფრონტზე დაბრუნებაზე უარი უთხრეს.

1943 წლის ივლისიდან თამარ კუჭავა ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს კლინიკაში თერაპევტად იწყებს მუშაობას.

ამაგი დაუფასდა ომგადახდილ ექიმს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 8 მარტის ბრძანებულებით თამარ კუჭავას რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება მიენიჭა.

თამარის მუშაობის ესოდენ მაღალი შეფასება განსაკუთრებით მის ფრონტელ მეგობრებს გაეხარდათ. დღე ერთი იყო და წერილი წერილზე, დეპეშა დეპეშაზე მოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. აი, რას წერდა სოხუმიდან გამოგზავნილ წერილში მაიორი დიმიტრი ბერულავა: „გილოცავთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდების მონიჭებას. ძალიან გამახარა თქვენმა წარმატებამ. გახსოვთ 1942 წლის უკანასკნელი თვე? მე ხომ თქვენს საველე ჰოსპიტალში მოვხვდი მძიმე კონტუზიით. ეს ის დრო იყო, როცა ვერაგი მტერი გააფთრებით გვიტევდა და ჩვენ იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია. კარგად მახსოვს თქვენი თავგანწირული მუშაობა. მთელ ღამეებს თეთრად ათენებდით იმისათვის, რომ დაჭრილი საბჭოთა მეომრები გადაგვერჩინათ. ყოველივე ამას ერთხელ კიდევ ვიხსენებ ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების ოცი წლისთავის დღეებში და გული სიხარულით მევსება. მართლაც რა დიდი ქარიშხალი გამოვიარეთ, რამდენ გრიგალს გადავურჩით, რომ ისევ გვეხილა სამშობლო თავისუფალი, მხნე და გამარჯვებული".

მადლობის წერილები უამრავია, წერენ 20 წლის მეგობრები, წერენ ახლადგაცნობილებიც, სულ ცოტახნის წინათ რომ იგრძნეს თამარის მზრუნველობა და ამაგი.

გივი თევზაძე



# მეგობარო

1941 წლის ზაფხული იყო. საბჭოთა ხალხი თავგანწირვით იბრძოდა ფრონტზე და დაუღალავად შრომობდა ზურგში. სწორედ იმ ზაფხულს გავიცანი იგი მანქანის საჭესთან. მაშინ ჩვენ ორივე ძალზე ახალგაზრდები ვიყავით, მომავალს იმედიანად შევცქეროდით და, მიუხედავად მტრის წინსვლისა, მაინც გვჯეროდა, გავიმარჯვებდით. ის ტროლეიბუსზე მუშაობდა მძღოლად, მე კი თეატრში — მსახიობად. არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა. სამაგიეროდ, შესანიშნავად ვიცოდი გრძელი გზა ჩემს საცხოვრებელ ბინამდე, სპეციალისტების სახლში, რომლის იქით მხოლოდ ჭაობიანი მინდვრები იყო, წყნეთისა და ლისის ქედებიდან გადმოვარდნილი ქარის სათარეშო მოედანი. ცუდ ამინდში შეუძლებელი იყო იქ გავლა.

მაშინ ავტობუსში მოხვედრა ძალზე ძნელი იყო, და უფრო ძნელი — ფეხით სიარული, უმთვარო და ცუდ ამინდებში შენიღბულ ქალაქში უკუნეთი ჩამოწვებოდა, უსიამოვნო და გულშემზარავი ხდებოდა ირგვლივ ყველაფერი. ჩემი სამსახური პლეხანოვის პროსპექტზე იყო. შინ შვილების დამტოვებელი არავინ მყავდა და ასეთ ღამეებში ჩემს სამ პატარას თან დავატარებდი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, არაფრის არ გვეშინოდა მე და ჩემს შვილებს! არ ვიცი, რატომ, მაგრამ ოთხივეს გვწამდა, ჩვენამდე სიკვდილი ვერ მობედავდა.

ერთხელ სამივე ბავშვით სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი. ვხედავ, ტროლეიბუსი მოდის, რომლითაც კინოსტუდიამდე შეგვეძლო მისვლა და იქიდან კი ფეხით ავიდოდით საბურთალოზე, მაგრამ გაჩერებამდე დიდი მანძილი იყო და ვერ შევძლებდი იქამდე ბავშვებიანად სირბილს. უცებ, ტროლეიბუსი დამუხრუჭდა და სწორედ ჩვენს წინ გაჩერდა. — დაჯექით! — ღიმილით მოგვმართა ახალგაზრდა რუსის ქალმა, რომელიც საჭეს მართავდა. მე დავიბენი, — დაჯექით, დაჯექით! — გაგვიმეორა მან. შემდეგ თვითონ გადმოვიდა და ბავშვების აყვანაში მომეხმარა. ჩემი პატარები მოკრძალებით შევიდნენ მანქანაში, სკამზე ცხვირსახოცები დაიფინეს და ჩამოსხდნენ. მძღოლმა რამდენჯერმე მოხედა მათ. თავისთვის ჩაილაპარაკა—ნამდვილი მტრედებიაო. მერე მე მომმართა: შესანიშნავი ბავშვები გყავთო, და სახეზე ნათელმა ღიმილმა გადაურბინა. ხოლო, როდესაც ბავშვებმა თხილი გატეხეს და ნაჭუჭი, არამც თუ შიგნით, ქუჩაშიც არ გადაყარეს, მძღოლის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. მე კი შვილების ასეთი შექება მილიონად ღირებულ ძვირფას საჩუქრად მივიღე და ჩემი დედობრივი გრძნობებით ბედნიერებაში ჩავიძირე...

— ვერ წარმოიდგენთ როგორ მიყვარს მსახიობები, საერთოდ ხელოვნება! მაშ არავინ გყავთ ბავშვებთან დამტოვებელი? თქვენი მეუღლეც მსახიობია? შესანიშნავია! რა გქვიათ? მე კი ანია მქვია, უბრალოდ, ანიჩკა! რომელ საათზე იწყებთ მუშაობას? როდის ამთავრებთ? — ზედიზედ დამაყარა ანიამ კითხვები და კინოსტუდიასთან საჭე დაამუხრუჭა. აქედან ფეხით უნდა ავსულიყავით საბურთალოზე, მაგრამ მან წინ მიმავალი სატვირთო მანქანა გააჩერა, ჩემი შვილებიანად მის კაბინაში მომათავსა და მძღოლს სთხოვა: ეს ჩიტები უვნებლად მიიყვანე სახლამდეო...

აღარ ვიცოდი, რით გადამეხადა მადლობა ამ კეთილშობილი ქალისათვის? მან ხომ განსაცდელში ჩაიგდო თავი? ტრანსპორტის უადგილო ადგილას გაჩერებაზე, შუქის ანთებაზე, სიგნალის მიცემაზე სასჯელი იყო დაკანონებული და ამიტომ მთელ ღამეს ვფიქრობდი ამ უბრალო საბჭოთა მოქალაქის გულისხმიერებაზე, რომელსაც გმირობა არ ჩაუდენია, მაგრამ თავისი ადამიანური მოქმედებით სამუდამოდ დამამახსოვრა თავი.

მეორე საღამოს, სპექტაკლის შემდეგ, სარკესთან გრიმს ვიხსნიდი, ჩემი პატარები სავარძელში მიყუჟულნი თვლემდნენ. უცებ მანქანის გაბმული ყვირილი გაისმა, თეატრის კონტროლიორი შემოვარდა და მეუბნება: — ჩქარა ჩაიცვით, გეთაყვა, ჩქარა. თეატრის წინ ხალხით გაჭედილი ტროლეიბუსი გელოდებათ. — ამის გაგონებაზე ბავშვები სწრაფად გამოფხიზლდნენ, მოვკრიბეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და გავიქეცით. ვხედავთ, საჭესთან ანია ზის და იღიმება.

ოჰ, რამდენი სითბო ვიგრძენი მაშინ ანიას ღიმილში! მზად ვიყავი ათასჯერ გადამეკოცნა ეს მშვენიერი ქალი, მაგრამ, რატომღაც ვერ მოვახერხე და მხოლოდ ჩუმად წავიდუდუნე—რა მადლობელი ვარ, როგორ შეგაწუხეთ-მეთქი!

— არავითარი მადლობა, არავითარი შეწუხება! — მტკიცედ მიპასუხა ანიამ, — ახლა ომია და თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, მტერი მოგვერევა. ხანდახან თავიც უნდა შევიწუხოთ ერთმანეთისათვის, უფრო მტკიცედ შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, ბევრი შვილი გავაჩინოთ და კარგად დავზარდოთ, რომ ომში წასული მამები შეცვალონ!

კინოსტუდიასთან პატარა ავტობუსი გვიცდიდა, რომელიც ანიამ დაიბარა, ახლა იმაში გადავჯექით.

ასე მეორდებოდა ყოველდღე, ყოველ თვეს, ყოველ წელს. ჩვენ ერთად განვიცდიდით საყვარელი სამშობლოს განსაცდელს და ერთად ვიზეიმეთ მისი გამარჯვებაც! ანიჩკას კეთილმა გულმა მრავალი კილომეტრის გავლა ააცდინა ჩემი შვილების პატარა ფეხებს.

ომის შემდეგ ანიამ ავტობუსზე დაიწყო მუშაობა და ჩვენ ისევ ძველებური სიყვარულით ვხვდებოდით ერთმანეთს. ხშირად ჩემს სახლთან მისცემდა სიგნალს: — მომხედე, არ დამივიწყო, მეგობაროო! — მეც ხელს დავუქნევდი, კოცნას გავუგზავნიდი და ვეუბნებოდი: — როგორ დაგივიწყებ, ჩემო ანიჩკა, შენ ხომ ისეთი ამაგი დამდე, ვერც კი გადაგიხდი-მეთქი. — ანიჩკა მხიარულად მპასუხობდა: — ამაგი უკვე გადახდილია, კარგ შვილებს რომ უზრდი ხალხსო.

ახლა ანია ტაქსზე მუშაობს. ამას წინათ შევხვდი, მგზავრებით დატვირთული მოქრიალებდა. მანქანა გააჩერა და მომაძახა: — როგორ არიან ჩვენი კარგი შვილები, როდის ქორწინდებიან? ახლა შვილიშვილები უნდა ვასეირნო მანქანითო.

მე და ანიას შვილი შვილები გვინდა, თორემ სიბერემ კარზე მოგვიკაკუნა და ალბათ, მალე ვეღარ შევძლებთ, სადაც მოგვესურვება, იქ დავამუხრუჭოთ ჩვენი მანქანა!

დაქრიალებს ანია რეზცოვა თბილისის ქუჩებში და ისევ ძველებური სიყვარულით უღიმის ბავშვებს, ისევ ახალგაზრდული გატაცებით შეხარის ქვეყანას. ტაქსების მძღოლ ქალებში მხოლოდ მას ჰქვია ანია; ქერათმიანი მძღოლი, სათვალითა და თავაზიანი სიტყვა-პასუხით, უსათუოდ ჩემი ანიჩკა იქნება!

თუ მის მანქანაში მოხვდეთ, გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი სალამი, მიულოცეთ მტერზე გამარჯვების 20 წლისთავი.

ალა გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სწერს სიყვარულის მამაზ წამალს"

ქუთაისში, კომინტერნის ქუჩაზე, № 40 სახლში ყოველდღე მოაქვთ ფოსტა. ჩვენი უსაზღვრო სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოდის წერილები. მათ ერთი ადრესატი ჰყავს — ანდრია სინაური, ქართველი ოსტროვსკი, რევოლუციის ჯარისკაცი, პოეტი და მოქალაქე. წერილები სხვადასხვა შინაარსისაა, დაბოლოება კი თითქმის ყველას ერთნაირი აქვს: „მოკითხვა თქვენს გმირ მეუღლეს, მოკითხვა და ღრმა პატივისცემა სახელოვან ქართველ ქალს, მეგობარს და დედას". ამას მხცოვან პედაგოგზე, ანდრიას მეუღლესა და მეგობარზე ნადია აბესალომის ასულ აბდუშელიშვილზე წერენ. ის ხომ ორმოცი წელია თავს დასტრიალებს სარეცელზე მიჯაჭვულ მეომარს და პოეტს.

ბევრ ქართველ პოეტს მიუძღვნია წრფელი სტრიქონები ნადია აბდუშელიშვილისათვის (ამ პატარა მონათხრობის სათაურიც მისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონებია).

ქუთაისი ძველთაგანვე ქართული პოეზიის მექა იყო. კარგ ლექსთა თქმა და განსჯა ქუთაისის ინტელიგენციისათვის არასდროს ყოფილა მოდა, მუდამ სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. იგი ტრადიციად აქციეს ცისფერყანწელებმა, ოცდაათიან წლებში კი ანდრიამ და მისმა მეგობრებმა დააკანონეს. ანდრია სინაურის სახლი ლიტერატურულ სალონად იქცა. ამ სალონის დედაბოძი კი ყოველთვის იყო და არის ნადია აბდუშელიშვილი.

ნადია აბდუშელიშვილმა პედაგოგიური მოღვაწეობა ორმოცდახუთი წლის წინათ დაიწყო — ზესტაფონის ვაჟთა სასწავლებელში. სასწავლებლის ინსპექტორს პავლე მეტრეველს დიდხანს არ სჯეროდა რომ ასეთი ახალგაზრდა მასწავლებლობას შესძლებდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ნადია დავით აბდუშელიშვილის ოჯახიდან იყო, დიდი საქმე გულით მიანდო. დავით აბდუშელიშვილის სახელი ვის არ გაეგონა. საწერეთლოში ხომ აკაკის მერე მის მზეს ფიცულობდნენ. დავითს „ძე არ ესვა" და ძმისშვილი აბესალომი გაზარდა, ხონის საოსტატო სემინარია დაასრულებია, მერე სოფელ ბჟინევში დაასახლა და ხალხოსანთა ჩვეულებისამებრ სოფლის მეურნეობას და ახალთაობის აღზრდას დააწაფა. ნადია აბესალომის ქალიშვილია.

ზესტაფონის ვაჟთა სასწავლებელში ნადიამ ორიოდე წელი დაჰყო, მერე მეგობრების რჩევითა და მხარდაჭერით თბილისს მიაშურა და უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. ეს იყო 1920 წელს. უნივერსიტეტში იგი შეხვდა ვერცხლისწყალივით მოუსვენარ, ლაზათით სავსე სტუდენტს ანდრია სინაურს. ორი ხათელი და წმინდა გონება და გული მალე შეერთდა და — ნადიამ დროებით დატოვა უნივერსიტეტი. მას შეეძინა ვაჟი, რომელსაც სახელად არჩილი დაარქვეს. პატარა არჩილი დიდთვალება, შუბლმაღალი, გონიერი და მოძრავი ბავშვი იყო. სამი წლისა ამბობდა ლექსებს, ყვებოდა ზღაპრებს, ოთხი წლისა კითხულობდა დედა ენას და ხუთი წლისა წერდა. ნადია მასწავლებლობდა ქუთაისის სკოლებში. ანდრიაც მუშაობდა. სხვა რაღა იყო საჭირო ბედნიერებისათვის?

მძიმედ ჩამოდგა 1925 წლის მაისი სინაურების ოჯახში. სამოქალაქო ომის წლებში კავკასიის ფრონტზე მიღებულმა სახსართა მძიმე დაავადებამ მწვავედ იჩინა თავი. ძველი ბრუსილოველი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ანდრია ჯერ ხელჯოხით დადიოდა, მერე ყავარჯნებით, და ბოლოს, სავსებით ჭაბუკი, მხოლოდ 28 წლისა, სამუდამოდ მიეჯაჭვა სარეცელს. უძლური აღმოჩნდა მედიცინა. ანდრიამ დაჰკარგა მოძრაობის უნარი.

შვილი, მოხუცი დედამთილ-მამამთილი, ტრადიციული ქართული ოჯახი სტუმრით და მტერმოყვრით — ყველაფერი ქალის მხრებს დააწვა. უფრო ამან, ვიდრე საკუთარმა უბედურებამ, ჩააგდო სასოწარკვეთილებაში ანდრია. ერთ საღამოს თავის სარეცელთან მარტო დაიგულა ერთგული მეგობარი და გულწრფელად უთხრა:

— მორჩა, ყველაფერი დამთავრდა. მე არაფერი მეშველება. სამუდამო ტყვე გავხდი სარეცლის, არ მაქვს უფლება შენც დაგსაჯო. ჯერ ახალგაზრდა ხარ, ნუ შეიბორკავ თავს, ერთ დიდ ცხოვრებას კიდევ მოასწრებ, ბედი ეძიე, არავინ გაგამტყუნებს...

— ცუდად გიცვნია აბდუშელიშვილის ქალი! — აქვითინდა ნადია.

— ეს იყო საშინელი ტრანზა, — იგონებს ანდრია ავადმყოფობის პირველ წელს, — სარეცელი, როცა იცი, რომ სამუდამოდ მისი ტყვე ხარ, საფლავს ემსგავსება. მოძრაობის გარეშე რაა სიცოცხლე? მრავალჯერ აღიმართა ჩემს ხელში ძველი, ნაცადი მეგობარი — ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი, მრავალჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში, მაგრამ ჩემი მიწის ძალამ, ჩემი ხალხის სიყვარულმა, ჩემი კერის სითბომ მიხსნა ფათერაკისაგან. მე გავაგრძელე სიჭაბუკეში დაწყებული სიმღერა მზისა და მამულისადმი.

ცხოვრების მძიმე დღეებში ანდრიას ყავარჯნად იქცა ნადია.

ასე იხსნა ადამიანმა ადამიანი...

პოეტ ანდრია სინაურის წიგნები ამშვენებენ თაროებს, მის ლექსებს კითხულობენ რუსეთსა და უკრაინაში, მის ცხოვრებას სამაგალითოდ თვლიან ჩვენი თაობის ადამიანები...

და რომ არა ნადია აბდუშელიშვილი, ვინ იცის...

ნადია კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, ბიოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. სამაგალითოდ სწავლობდა და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მონაწილეობდა. პროფკავშირის ორგანიზაციამ საგანგებო სტიპენდიაც კი დაუნიშნა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სწავლაში დედა და შვილი — არჩილი ფრიადოსანი იყო, ნადიაც ფრიადებზე სწავლობდა.

სტუდენტობის წლები სწრაფად გარბის საერთოდ. ის ხუთი წელი კი, ოჯახის გარეთ გატარებული, საოცრად გაგრძელდა. დაამთავრა უნივერსიტეტი და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბოტანიკის კათედრის ასისტენტად მიიწვიეს. საშუალო სკოლაშიც გაკვეთილები აიღო. ასწავლიდა ადამიანის ანატომიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, დარვინიზმის საფუძვლებს... მერე კი, უფროსი მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

არჩილი არ ჩამორჩა დედას. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა ფრიადებზე დაამთავრა და მოსკოვს მიაშურა, ჩერნიშევსკის სახელობის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტი-

ტუტის სტუდენტი გახდა. ფრიადოსანი სტუდენტი კურსის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო. მესამე კურსზე გადავიდა, რომ დაიწყო დიდი სამამულო ომი. 23 ივნისს კურსის საერთო კრება მოიწვია, ამხანაგებს სამშობლოს დასაცავად მგზნებარე სიტყვით მიმართა, მოხალისეთა რაზმი შეადგინა და ბრძოლის ველს მიაშურა.

სასოებით კითხულობდნენ სარეცლის ტყვე-კაცი და მისი მეუღლე რუსეთიდან მოსულ სამკუთხა ბარათებს... მხოლოდ ხუთ თვეს ჰქონდათ ეს ბედნიერება. მერე ლოდინი, ლოდინი და გმირულად დაღუპვის ცნობა.

ოჯახს ჯერ მოხუცი მამა გამოაკლდა, მერე — დედაც. დარჩნენ ორნი, მაგრამ მაინც არ გატეხილან. ეს იყო, მოჭარბდა თეთრად გათენებული ღამეები... ოჯახის ტრაგედია ოჯახშივე რჩებოდა — საზოგადოებას კვლავ ძველებურად ემსახურებოდნენ. შვილს კი ახლაც, დღესაც ელიან. ელის დედის გული. ტკბილად საყვედურობს მამა შინმოუსვლელ შვილს:

„დაცოლშვილდნენ შენი კბილა ვაჟები და
დაქმარშვილდნენ შენი დროის გოგონებიც,
შენ რას ფიქრობ? ჩვენ კი მუდამ
ვიზაფრებით
ამ ამბავის მოგონებით.
ჩვენც გვინდოდა შვილიშვილთა გუნდში
მღერა,
ზღაპრების თქმა... მოვესწრებით? არვინ
იცის!..
ამ ტიელ გულს ზღვა არ ჰქვია, მაინც
ღელავს,
ზღვა თუ არის — რატომ იწვის?“

შვილის მოლოდინში ძველი ოდა დაანგრიეს, ახალი სახლი ააგეს ფლიგელითა და კოტეჯით, არჩილი დაბრუნდება, ცოლს შეირთავს, დაგვჭირდებაო.

დილით ნადია კვლავ უთენია დგება, ოჯახს მიხედავს, მერე ინსტიტუტში მიდის, იქიდან — სკოლაში (სადაც დიდი ხანია პედაგოგიურ პრაქტიკას ხელმძღვანელობს), შემდეგ — საქალაქო საბჭოში (ის დეპუტატია), ან — სასამართლოში (თითქმის 15 წელია სახალხო მსაჯულია), მერე ბაზარი, სახლი... შინ კი ანდრია ელოდება. გვიან ღამემდე არ ქრება შუქი. ნადიას ეკუთვნის სერიოზული გამოკვლევები: „კავკასიური მოცვის ფორმების შესწავლისათვის“, „კურორტ სათაფლიას ხე-მცენარეები და ბუჩქები“ და სხვა. მან თარგმნა ალიოხინის მცენარეთა გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ფომინისა და ვორონოვის ნარკვევი გვიმრანაირ მცენარეებზე.

ნაშუაღამევს ანდრია შეეხმიანება:

— ნადია, აბა მომისმინე!

და კითხულობს ახლადდაბადებულ სტრიქონებს. ნადია ხომ მისი პირველი მკითხველი, შემფასებელი და კრიტიკოსია. სტრიქონები არჩილს ეკუთვნის. ისინი ხშირად გათენებამდე სხედან ცრემლმორეულნი, უჩვეულო ლოდინით გატანჯულები, მაგრამ კვლავ ოპტიმიზმით და ენერგიით სავსენი.

სხვა რაღაა გმირობა?

კლდეზე უმტკიცესია, მაშ რაა ადამიანი?

**სერგო ჭეიშვილი,**

ქ. ქუთაისი.

გივი ჭიჭინაძე

# შემოდგომის სიმღერები

## წიფობელების სიმღერა



გულს გვიხარებს
ყველაფერი,
ქარს მოვყვებით
ქვენას.
სტვენა-სტვენით,
ფრენა-ფრენით
ვესტუმრებით
ვენახს.
გამრჯე კაცის
სადიდებლად
დავიშაქრეთ ენა.



## ნემსის სიმღერა

დღეებს ზარმაციგით
უქმად როდი ვკარგავ,
დავამთავრე უკვე
პერანგების ქარგვა.
დავტრიალებ მაინც
ციბრუტივით სწრაფი,
შევალიე საქმეს
მთელი კოჭა ძაფი.
ახლა მე და ბებოს
სურვილი გვაქვს ერთი:
ასი საჩურჩხელე
გავამზადოთ თქვენთვის!



## საფრთხობელა

დარია თუ ავდარი,
სულ ფეხზეა დამდგარი.
მებაღეს რომ ყურძენი
არ მოპარონ წუწკებმა
გაფხორილა, შორიდან
თითქოს ყველას უწყრება.



## ლამაზი ხბო

კოხტა ვარ და ლამაზი,
მიტომ მქვია ლამაზაც.
მომეფერა ლევანი,
ჩალა შემომთავაზა.
არ მინახავს არასდროს
ამისთანა ყმაწვილი,
ასე ზრდილობიანი,
ქოჩორგადავარცხნილი.
მე რომ მკითხოთ ამასაც
უნდა ერქვას ლამაზა.

## რთველი

ისეთია ხარისთვალა,
თვალს არ ახსოვს ამისთანა!
იმდენია რქაწითელი,
არ ეყოფა ასი ხელი!
მოაქვთ ციცქა,
მოაქვთ თითა,
გოდრითა თუ
კალათითა...
დაწნეხილი საწნახელი
ქვევრს ჩასძახის
რაკრაკითა:
— დრო დაგიდგა,
გაბერილო,
სვი, ილხინე,
რაღა გინდა!

მხატვარი მარიკა დაუშვილი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ივლიტა ნაკაშიძე



ივლიტა ნაკაშიძის პიროვნება საკმაოდ ცნობილია ჩვენი საზოგადოებისათვის. ვინც იცის „განათლების" სკოლის მნიშვნელოვანი როლი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, ის კარგად იცნობს ივლიტა ნაკაშიძესაც, რომელიც ცნობილ მწერალ ქალთან ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო.

ივლიტა ასათიანი-ნაკაშიძე იყო პირველი ლეჩხუმელი ქალი, რომელმაც საშუალო განათლება მიიღო იმ დროს.

1887 წელს, 17 წლის ივლიტამ პირველად შეაღო ქ. ხონის სასწავლებლის კარი, როგორც მასწავლებელმა.

ხონის სასტატო სემინარიაში იმ დროს შესანიშნავი მასწავლებლები, ნამდვილი უანგარო პედაგოგები მუშაობდნენ. ამ წრემ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა პედაგოგზე.

ივლიტამ მალე მოიპოვა უფროსი კოლეგების პატივისცემა და სიყვარული. 1895 წელს ახალგაზრდა ქალი რუსული ენის მასწავლებლად დანიშნეს ეპარქიალურ სასწავლებელში. აქ იგი უახლოვდება მარქსისტთა წრეს, სადაც მუშაობს მისი ყოფილი მოწაფე საშა წულუკიძე, აგრეთვე რაჟდენ კალაძე და სხვები. მალე ივლიტა ცოლად გაჰყვა ერმილე ნაკაშიძეს, რომელიც ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოში. ოჯახურმა მდგომარეობამ ხელი ვერ შეუშალა ქალს საზოგადოებრივ მუშაობაში. თბილისში ივლიტა კვლავ უბრუნდება მარქსისტების ჯგუფს.

ახლოვდება რევოლუცია. ერმილე ნაკაშიძე ქ. ოზურგეთში გადაჰყავთ. ივლიტა დროებით სტოვებს თბილისელ ამხანაგებს, მაგრამ არც გურიაშია მარტო. იგი გვერდში ამოუდგა პროგიმნაზიის დამაარსებლებს, მუშებისათვის აწყობს საღამოს კურსებს, კითხულობს ლექციებს...

გადის დრო. რევოლუციური მოძრაობა მოედო საქართველოს. იწვის გურია. დათარეშობენ დამსჯელი რაზმები...

ცარიზმისადმი ზიზღი და პროტესტი თანდათან იზრდება ახალგაზრდა ქალის გულში. სამშობლოს თავისუფლებაზე ფიქრი არასოდეს არ სტოვებს მას.

1908 წელს ივლიტა ნაკაშიძე თბილისში ჩამოდის და მუშაობას იწყებს საყმაწვილო ჟურნალების — „ჯეჯილისა" და „ნაკადულის" რედაქციებში. ამ ჟურნალებში ხშირად იბეჭდება ივლიტას მიერ ლამაზი ქართული ენით დაწერილი წერილები ბავშვებისათვის.

ივლიტა ნაკაშიძე ეცნობა და უახლოვდება აკაკის, ირ. ევდოშვილს, ეკ. გაბაშვილს, შიო მღვიმელს, შიო არაგვისპირელს, რ. ერისთავს, გ. ტაბიძეს.

სკოლა და საბავშვო ჟურნალი, პედაგოგიკა და მწერლობა ივლიტას ერთ განუყრელ ცნებად ჰქონდა წარმოდგენილი. ივლიტა ნაკაშიძის ოჯახში დღესაც ინახება მისი ქალიშვილების მიერ მაუდის სუფრაზე ამოქარგული შიო მღვიმელის ერთერთი ლექსის ნაწყვეტი. ეს ლექსი ბავშვების საყვარელმა მგოსანმა პირველად აქ, ივლიტას გოგონებთან წარმოსთქვა ექსპრომტად.

ივლიტას ოჯახის ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე ნიჭიერი ნოველისტი შიო არაგვისპირელი. სწორედ ამ ოჯახში წაიკითხა მან პირველად თავისი ჯერ დაუბეჭდავი შესანიშნავი ნოველა „მიწაა!"

ივლიტას ლიტერატურული გემოვნება და სულიერი სიმაღლე იზიდავდა ჩვენს საყვარელ პოეტს რაფიელ ერისთავსაც, რომელიც ხშირად დადიოდა ნაკაშიძეებთან.

ივლიტა ნაკაშიძეს უყვარდა ახალგაზრდობა. ხშირად შეაღებდნენ ხოლმე მისი სახლის კარს ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, დემნა შენგელაია, გობრონ აგარელი, ტერენტი გრანელი...

... სუფრას უსხედან ახალგაზრდები. სურნელოვანი ჩაით უმასპინძლდება ივლიტა ახალგაზრდა მეგობრებს.

უცებ გალაკტიონმა თასი აიღო ხელში:

„გადაფრენას ეს ყორანი  
მადათოვზე აპირებს,  
გაანათებს რესტორანი  
ტივებიან ნაპირებს.

ასე მიდის ეს ზამთარი  
სიზმარივით მდევარი,  
ასე რეკავს საზანდარი  
უქმი შემაქცევარი...

ივლიტა ნაკაშიძის პატარა საკრებულოში ხშირად უნახავთ ქართველი ხალხის დიდი პატივისმცემლები და-ძმა უორდროპებიც.

ეს მაღალი ინტელექტის ქალი ფხიზლად ადევნებდა თვალს თავისი ეპოქის მაჯისცემას. იგი აწყობდა სკოლის სასარგებლოდ „ისტორიულ საღამოებს". ამ საღამოებზე მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე და მისი მეუღლე სალომე სულხანიშვილი.

ჟურნალ „ჯეჯილის" ოცი წლის იუბილე ივლიტას აქტიური მონაწილეობით ფართოდ მოეწყო ქართულ თეატრში.

„მახსოვს კაცის როლის შემსრულებელი ვერ ვიშოვეთ ბავშვთა შორის. მოვძებნე ნიკო გვარაძე და მაკო საფაროვა. ამათ არ დასჭირებიათ როლების სწავლა, ისე კარგად უკარნახებდა „ბუტკიდან" ახალგაზრდა სოსო გრიშაშვილი".

ასევე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ივლიტა აკაკი წერეთლისა და შიო მღვიმელის იუბილეს მოწყობაში.

მაგრამ ყველაზე დიდი ამაგი ივლიტა ნაკაშიძეს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად, სკოლა — „განათლების" დაარსების საქმეში მიუძღვის. 1910 წლიდან მოყოლებული თითქმის ათი წლის განმავლობაში, ივლიტა იყო ამ სკოლის თავდადებული მასწავლებელი, აღმზრდელი, იგი მუდამ სათუთად უფრთხილდებოდა, იცავდა სკოლის ავტორიტეტსა და სახელს.

შემდეგ ივლიტა წმინდა ნინოს სასწავლებელში გადავიდა, აქ მოუსწრო მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ.

დაიწყო ახალი ხანა პედაგოგიკაში. ივლიტა ნაკაშიძე საბჭოთა სკოლის პრინციპების ერთერთი უერთგულესი გამტარებელი იყო. ყველა პატივს სცემდა მის გამოცდილებას.

ივლიტა ნაკაშიძე მუშაობდა ჩუმად, არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი. მაგრამ ხალხმა არ დაივიწყა სახელი ამ პატიოსანი მშრომელი ადამიანისა, რომელმაც ორმოცი წელი გაატარა უმწიკვლო პედაგოგიურ მუშაობაში.

ივლიტა ნაკაშიძე გარდაიცვალა ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, 1954 წელს. დედის გზასა და ნაკვალევს გაჰყვა მისი სამი ქალიშვილი: უფროსი ქალი თინა ნაკაშიძე წიგნის პალატის მთავარი ბიბლიოგრაფია, ლილი ნაკაშიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უმცროსი ქალიშვილი ლუბა ნაკაშიძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

**ნინო ჩიხლაძე,**  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაგრძელებთ საუბარს სიყვარულზე, ოჯახზე, ბედნიერებაზე...

საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი სიყვარულის საკითხებზე, მაგრამ ამით სათქმელი კი არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ეს გასაგებიცაა: სიყვარული მართლაც ამოუწურავი თემაა და რაც უფრო ღრმად შევიჭრებით მის არსებაში, მით უფრო მეტს დავინახავთ სიძნელეებს, საჭირბოროტო და მტკივნეულ მხარეებს. მაგრამ ყველა საკითხს ამჟამად ვერ გამოვედევნებით, ყველა წერილს ვერ განვიხილავთ. უკვე დროა შევაჯამოთ და განვაზოგადოთ სიყვარულის შესახებ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოთქმული მოსაზრებები, რომ შეგვეძლოს თანდათან გადავიდეთ არანაკლებ მნიშვნელოვანი თემების გაშუქებაზე, როგორიცაა ბავშვთა აღზრდისა და ბედნიერების პრობლემები.

ყოველივე ის, რასაც გვეკითხებიან ჩვენი ჟურნალის მკითხველები და რაც განხილვის საგანი იყო წინა საუბრებში, შეიძლება დავაჯგუფოთ ასეთ პრობლემებად: როგორ გავერკვეთ გრძნობებში, როგორ შევქმნათ ოჯახი და როგორ დავიცვათ სიყვარული.

9253

## ქორწინებამდე

ადამიანი სოციალური არსებაა. იგი ვერ იარსებებს სხვა ადამიანების გარეშე. ჯერ კიდევ ბავშვი ეძებს ამხანაგებს და მათ წრეში პოულობს არსებობის ნორმალურ ფსიქოლოგიურ გარემოს. დროთა განმავლობაში თამაში გადაიზრდება საქმიანობაში, ამხანაგებში კი გამოიკვეთებიან მეგობრები.

სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან ახალგაზრდა ეძებს მეგობარს სწორედ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთაგან. ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი და ბუნდოვანი სწრაფვა საპირისპირო სქესისკენ, რა თქმა უნდა, სიყვარულის გრძნობა არაა. იგი ჯერ მხოლოდ ინსტიქტია, შთამომავლობის გაჩენის, სიცოცხლის გაგრძელებისა და უკვდავების ინსტიქტი. სიყვარულის წარმოშობამდე იგი წმინდა ფიზიოლოგიური პოტენციაა, რაც ყოველ ცხოველს ახასიათებს და არაფერი მასში ადამიანური არ არის.

ცხოველური ინსტიქტიდან ადამიანურ გრძნობამდე ამაღლება იწყება იმის შემდეგ, რაც ახალგაზრდა, მეგობრის ძიებაში, შეჩერდება ვინმე კონკრეტულ პიროვნებაზე, ე. ი. როცა მოხდება ბრმა გრძნობის პერსონიფიცირება. მოეწონება ახალგაზრდას ვინმე და სწორედ ეს გახდება სიყვარულის წარმოშობის საფუძველი. მოწონების გარეშე არ არსებობს სიყვარული. მაგრამ ყველა, ვინც მოგეწონება, როდი შეგიყვარდება. მოწონება-დაწუნების მექანიზმი ადამიანის ესთეტიკური აღქმის უნარია, ესთეტიკური გემოვნებაა, რაც არ სცილდება ადამიანის გარეგნობის, მისი ფიზიკური მონაცემების შეფასებას. ძლიერ მოწონებასთან რომ გვქონდეს საქმე, იგი მხოლოდ გატაცება იქნება და არა სიყვარული. ამ უკანასკნელის წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ახალგაზრდას მოეწონოს არა მარტო გარეგნობა, არამედ პიროვნების ხასიათი, ინტელექტუალურ-კულტურული დონე და, რაც მთავარია, მისი ძირითადი სულიერი ღირსება-ზნეობრივი სახე.

აქედან აშკარაა, თუ რაოდენ ცდებიან ისინი, რომლებიც მხოლოდ გარეგნული მოწონების საფუძველზე ქორწინდებიან. თუ წყვილი სხვა მხრივ არ აღმოჩნდება ერთმანეთის შესაფერი, მაშინ მათ შორის არ წარმოიშობა სიყვარული და მათი ოჯახი არ იქნება ნორმალური.

იმისათვის, რომ ახალგაზრდა სწორად გაერკვეს თავის გრძნობებში და ყოველმხრივ გაიცნოს თავისი მომავალი მეგობარი, საჭიროა გარკვეული დრო, მეგობრული ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. ამით აიხსნება, რომ ჩვენი საზოგადოება ყოველმხრივ უწყობს ხელს ახალგაზრდობის ურთიერთდაახლოებას, მათს ამხანაგობასა და მეგობრობას. საჭიროა მხოლოდ, რომ სპეციალურმა ორგანოებმა, რომლებსაც ახალგაზრდობისათვის ზრუნვა აკისრიათ, მოიფიქრონ და ცხოვრებაში გაატარონ უფრო საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიებები, რომელთა დახმარებითაც რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაეცნობა ერთმანეთს და რაც შეიძლება ღრმად, საფუძვლიანად შეისწავლის ერთმანეთის მონაცემებს. ასეთი ერთობლივი მხიარული ახალგაზრდული ცხოვრება, ერთობლივი სწავლის, შრომისა და დასვენების ორგანიზაცია, ჯერ ერთი, თავისთავად არის მიზანი, ხოლო შემდეგ, იგი არის ჯანსაღი და მტკიცე ოჯახების შექმნის მეტად ეფექტური საშუალება და ხელისშემწყობი პირობა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენში ყოველთვის სწორად არის გამოყენებული მასობრივ-კულტურული მუშაობის შესაძლებლობანი. ზოგჯერ ცხოვრების პირობები, დასვენება-გართობის შესაძლებლობანი ისეა მოწყობილი, რომ ახალგაზრდობა ვერ ახერხებს ერთმანეთის გაცნობას, მეტად შეზღუდულია მათი ნაცნობების წრე და ამის გამო იკარგება მეგობრობის, სიყვარულისა და ოჯახის წარმოშობის მრავალი შესაძლებლობა. რაც ფართოა ნაცნობების წრე, მით უფრო დიდი და მდიდარია არჩევანი, შესაბამისად ნაკლებია არჩევანში შეცდომის შესაძლებლობა.

## ქორწინების შემდეგ

სწორი ურთიერთშერჩევისა და ქორწინების შემოწმების პერიოდი ყველაზე პასუხსაგებია სიყვარულისა და ოჯახის განვითარებაში, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს დაქორწინების მომდევნო პერიოდს, პირველ თვეებს და წელს. ფიზიკური და სულიერი დაახლოების პროცესში თავს იჩენს ახალდაქორწინებულთა ისეთი წმინდა პიროვნული, ინდივიდუალური ნიშნები, ინტერესები და მიდრეკილებანი, რომელთა ურთიერთგაგებისა და შეთანხმების გარეშე შეიძლება გამოუთქმელი უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების ნისლი გადაეფაროს მათს სპეტაკ, მაგრამ ვნებადაშოშმინებულ სიყვარულს. ეს რომ არ მოხდეს, ან ნისლი რომ დროზე გაიფანტოს და შავ ღრუბლად არ გადაიქცეს, საჭიროა ახლადდაქორწინებულთა გრძნობების მორევში აზრიც იქნეს შერეული, მათს ვნებათა ღელვაში გონიერებაც გაერიოს.

აზრი და გონება აქ იმაში უნდა გამომჟღავნდეს, რომ, ჯერ ერთი, ორივე მხარე მზად უნდა იყოს ერთმანეთის „უცნაურობათა" გასაცნობად და შესათვისებლად, ხოლო შემდეგ უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ენერგია არა მარტო თვისობრივად არის გარკვეული, არამედ რაოდენობრივადაც განსაზღვრულია, და მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეგმაზომიერი ხარჯვაა საჭირო. ზოგიერთები არ უწევენ ამას ანგარიშს და უაზროდ ფლანგავენ სიყვარულის ენერგიას. კარგად თქვა ამის შესახებ აკადემიკოსმა ბოგომოლეცმა: „სურვილს უნდა გაუფრთხილდეთ, იგი სიყვარულის სტიმულია".

ზომიერება თითქმის ყველაფერში უებარი საშუალებაა და განსაკუთრებით ძლიერი იარაღია იგი მობეზრების ფაქტორის წინააღმდეგ. ზომიერება გრძნობასა და უშუალობაში, დისტანციისა და ტაქტიკის დაცვა ყოვლად აუცილებელი გარეგნული მომენტებია, რომლებიც შინაგანი ძალების შენარჩუნებასა და განვითარებას ემსახურებიან.

ამავე რიგის გარეგნული მომენტებია სისუფთავისა და სიკოხტავისათვის ზრუნვა. ცნობილია, რომ შეყვარებულებს არასოდეს არ აკლიათ სიკეკლუცე და მონდომება — რაც შეიძლება მოაწონონ ერთმანეთს თავი, მაგრამ საკმარისია ისინი დაქორწინდნენ, რომ ერთმანეთის მიმართ თანდათან შესუსტდეს კოხტაობის მოთხოვნილება და ბოლოს სულ გაქრეს. გათხოვილი ქალების საკმაოდ დიდი ნაწილი კოხტაობს უკვე არა საკუთარი ქმრის, არამედ უმთავრესად სხვა შესაძლო დამკვირვებლისათვის, ე. ი. კეკლუცობს გარეთ, ხოლო სახლში და ქმართან მოშვებული, გაძარცულია ყოველგვარი ესთეტიკური „პირობითობისაგან". ქმარი ხომ „მისია", „შინაურია", „რაა საბოდიშო". როგორ სცდებიან ასეთი ქალები, რა ცუდად იციან მათ მამაკაცის ფსიქოლოგია!

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ვაჟების მისამართითაც, როცა მათ გემოვნებადახვეწილ

ქალებთან აქვთ საქმე. თუ აქ ქალებსა და კაცებს შორის აბსოლუტური ტოლობის ნიშანს არ ვსვამთ, ეს იმით აიხსნება, რომ გარეგნულ-ესთეტიკურ მონაცემებს ქალისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ვაჟისათვის. უფრო ზუსტად, უკვე დაქორწინებულ ქალ-ვაჟთაგან ვაჟისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ცოლის გარეგნობა-სიკოხტავეს, ვიდრე ცოლისათვის — ქმრის გარეგნობა-სიკოხტავეს.

ქალი აფასებს ვაჟში ძალას, გონებას, ნებისყოფას, სიმამაცეს, შრომის სიყვარულს, კეთილშობილებას და შემდეგ — გარეგნობას. ხოლო ვაჟი აფასებს ქალში სინაზეს, სილამაზეს, კეთილშობილებას, აზრიანობას, დაუზარებლობას და სხვა სათნოებებს. კაცი — კაცური, ვაჟკაცური უნდა იყოს ყველგან და ყველაფერში; ქალი — ქალური, ნაზი და ფაქიზი უნდა იყოს ყველასთან და ყოველთვის.

სათნოებათა და ღირსებათა ასეთი დიფერენციაცია სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალს ვაჟკაცობა ავუკრძალოთ, ხოლო კაცს — სინაზე. პირიქით: რა ჯობია ფიზიკურად ნაზი ქალი რომ სულიერად ვაჟკაცი და შეუდრეკელია, ასევე, ჯმუხა ვაჟკაცი რომ ბავშვივით უშუალო და ქალივით ნაზი სულისაა! ბევრი სათნოება ქალსა და ვაჟს საერთო აქვთ, ხოლო სპეციფიკური ღირსებები ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთს ამდიდრებენ.

ვინც სიყვარულის ფასი იცის (ან სურს იცოდეს), იგი ეცდება ყოველთვის ისეთი იყოს, როგორიც მის მეგობარს მოეწონებოდა. გავაკეთოთ ის, რაც ჩვენზეა დამოკიდებული: გავუფრთხილდეთ ერთმანეთის გრძნობებს, ინტერესებს, მიდრეკილებებს; დავუთმოთ ერთმანეთს უმნიშვნელო და უაზრო კაპრიზები. ადამიანის ცხოვრება ისე რთული და საინტერესოა, ჩვენი საქმიანობა ისე მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ სად გვცალია უაზრო კაპრიზებისათვის. ყველა ჩვენი უნარი, თვით სიყვარულიც კი დღეს საქმითაა დაკავებული. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ სიყვარულის უნარი ბუნებამ მოგვანიჭა მხოლოდ სიამოვნებისა და ნეტარებისათვის. ნეტარება სიყვარულში უფრო შედეგია, ვიდრე მიზანი. ადამიანური სიყვარულის შინაარსი არ შეიძლება დავიყვანოთ ცხოველურ ტკბობამდე. ჩვენს სიყვარულს ევალება აგვამაღლოს, განავითაროს ჩვენი ინტელექტი, გემოვნება და ზნეობა, ბიძგი და სტიმული მისცეს ჩვენს შრომას, შემოქმედებას, საქმიანობას.

სიყვარულის გრძნობა ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას დღეს და უკვდავყოფს ადამიანთა მოდგმას მომავალში. ყოველი ახალი თაობა მხოლოდ სიყვარულის ნაყოფი უნდა იყოს. ჯერჯერობით კი ასე როდია.

მხოლოდ სიყვარულს შეიძლება დაეფუძნოს ოჯახი და უკანასკნელი გაუძლებს ყოველგვარ ქარიშხალს მანამდე, სანამ მყარია მისი საფუძველი. მაგრამ ზოგჯერ პატარა მიზეზი ბზარავს ახალშექმნილი ოჯახის საფუძვლებს და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები ამ ბზარის ამოსავსებად, შემდეგ იგი ძნელი და შეუძლებელი ხდება. ოჯახი შეიძლება უეცრად არ დაინგრეს, მაგრამ მას ჯანსაღი საფუძველი აღარ ექნება.

რა უნდა ვიღონოთ, რომ ახალშექმნილი ოჯახი მყარი და ხალისიანი იყოს, როგორ დავიცვათ და განვავითაროთ სიყვარული?

ძნელია ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა. ამ სფეროში ყველა საკუთარი გამოცდილებით სწავლობს ჭკუას, მაგრამ ზოგჯერ ამ გამოცდილების მიღებას ბევრი დრო მიაქვს და უკვე ჭკუანასწავლს გამოსასწორებელი აღარაფერი რჩება; სიყვარული კვდება უფრო ადრე, ვიდრე ადამიანი მის მკურნალობას ისწავლიდეს. სანუგეშოდ ისღა რჩება, რომ წინა კაცი უკანას ხიდია. მოვუსმინოთ ერთმანეთს, ჩვენზე უფრო გამოცდილებს და ჭკვიანებს. მეცნიერებასა, მხატვრულ ლიტერატურასა და თეატრალურ ხელოვნებაში ილექება ასეთი „წინა კაცების“ გამოცდილება. ვეზიაროთ ამ საგანძურს და გავიაზროთ ამ ფონზე საკუთარი ცხოვრება. იქნებ, ვისწავლოთ უკეთესი ცხოვრება, უფრო ძლიერი სიყვარული, უფრო დიდი და მტკიცე მეგობრობა.

## ყველაზე არსებითი

მ ე გ ო ბ რ ო ბ ა! სწორედ ეს არის ოჯახის ბერკეტი და საფუძველთა საფუძველი: თუ ცოლმა და ქმარმა ვერ მოახერხა დამეგობრება, სიყვარულის ცეცხლი მალე ჩაქრება, რადგან ვნება როგორც საწვავი გამოილევა, გატაცება, როგორც სენი განიკურნება. ოჯახის მაგიერ დაგვრჩება ოთახი (ან ბინა), სადაც სადილობენ და იძინებენ უცხო ადამიანები. მართალია, ცოლ-ქმრული სიყვარულის ცეცხლს აღვივებენ შვილები, მაგრამ ეს ცეცხლი ჯერ უნდა დაანთოს მეგობრობამ ცოლსა და ქმარს შორის.

რა წარმოშობს ამ მეგობრობას და როგორი შინაარსი აქვს მას?

უპირველეს ყოვლისა, მეგობრობას წარმოშობს ერთნაირი შეხედულებები ცხოვრებაზე, ადამიანებზე, სიცოცხლის არსზე, ერთნაირი სოციალურ-პოლიტიკური მრწამსი და მსოფლმხედველობა. ერთ ოჯახში ძნელად თუ გასძლოს ორმა იდეოლოგიამ; ან ერთერთმა უნდა დათმოს, ან ოჯახი დაინგრევა.

ასეთ მსოფლმხედველობრივ ერთიანობას თავის მხრივ სჭირდება გონებრივი განვითარების მეტნაკლებად ერთიანი დონე, ზოგადი კულტურული თანასწორობა. რაც უფრო მაღალია დაქორწინებულთა ინტელექტური განვითარების დონე და ზოგადი კულტურა, მით უფრო მეტს ნახულობენ ისინი საერთოს და უადვილდებათ დამეგობრება.

გონებრივი ჰორიზონტის და კულტურული ერთობის საფუძველზე წარმოიშობა გემოვნებათა ერთიანობა-შესაბამისობა. აქაც იგივე კანონზომიერება ბატონობს. რაც უფრო მაღალი და დახვეწილია ადამიანთა ესთეტიკური გემოვნება, მით უფრო მეტია მათ შორის საერთო.

არაფერს ვლაპარაკობთ მეგობრობას ისეთი ფაქტორების აუცილებლობაზე, როგორიცაა ცხოვრების პირობების მეტ-ნაკლები მსგავსება და პირადი სუბიექტური სიმპათია. სიმპათიის გარეშე არც მივიდოდა საქმე დაქორწინებამდე, ხოლო ცხოვრების პირობების განსხვავებულობა ერთ ოჯახში მცხოვრებ ცოლსა და ქმარს შორის თითქმის გამორიცხულია. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ არანორმალურ ოჯახებზე, სადაც ცოლი ან ქმარი განსაკუთრებით ზრუნავენ მხოლოდ საკუთარი პერსონის კეთილდღეობისათვის, ხოლო მეუღლის ასეთივე კეთილდღეობის ინტერესები მათ არ აწუხებთ.

ნორმალურ, ჯანსაღ ოჯახებში პირიქით ხდება: მოყვარული ცოლი და ქმარი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი პატივი სცენ ერთმანეთს, ვიდრე საკუთარ თავს. ასეთი ურთიერთ უპირატესი ზრუნვით არაფერი არ იკარგება, პირიქით, მატერიალურ ღირსებულებათა განაწილებას ემატება მორალურ ღირებულებათა განაწილებაც და ასე ზრდის მაღალი ზნეობა ადამიანურ ღირებულებებს.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ცოლსა და ქმარს შორის მეგობრობისათვის. შეიძლება ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლოთ თქვენს მეუღლეს, მაგრამ მაინც არ იყოთ მისი მეგობარი. ყურადღება შეიძლება იყოს დაფასების ფუნქცია და არა სიყვარულისა. მეგობრობაში არაა სავალდებულო მეუღლის პროფესიის დაუფლება. მაგრამ ზოგადი გარკვევა მის საქმიანობაში, მისი შრომის სპეციფიკის დაუფლება აუცილებელია. მეუღლეებმა კარგად უნდა იცოდნენ ერთმანეთის იდეალები და მისწრაფებები, ზოგადი მიზნები და კონკრეტული გეგმები, ერთმანეთის წარმატებები და ჩამორჩენები, სიძნელეები და წინააღმდეგობანი. ყველაზე უფრო კარგად სწორედ ცოლ-ქმარი უნდა ახერხებდეს საუბარს მათსავე სამსახურებრივ და შემოქმედებითს საქმიანობაზე. გყავდეს კარგი მრჩეველი, მეგობარი ოჯახშივე — ეს დიდი ბედნიერებაა.

პირიქით, რა ფასი აქვს იმ ოჯახს და ოჯახურ ბედნიერებას, სადაც ცოლს ან ქმარს მხოლოდ ის აინტერესებს, თუ რამდენი ფული შემოაქვს მის მეუღლეს სახლში. შეიძლება იგი ამ ფულს არ იყენებდეს პირადი მიზნებისათვის, შეიძლება, უფრო მეტიც, ოჯახის სხვა წევრებისათვის უფრო მეტადაც კი ზრუნავდეს, მაგრამ ეს საქმეს არსებითად ვერ შველის. ქმარს სჭირდება ოჯახში არა მარტო კარგი დიასახლისი და ბავშვების დედა, არამედ, პირველ რიგში, მეგობარი. ასევე, ცოლს სურს ყავდეს არა მარტო მომმარაგებელი და ბავშვების მამა, არა მარტო ქმარი — მზრუნველი, არამედ ქმარი — ამხანაგი, ქმარი — მეგობარი. ასეთი იდეალური ოჯახები იშვიათი არაა, მაგრამ იგი მაინც ბედნიერთა ხვედრია. შევქმნათ ასეთი ოჯახები და დავიცვათ ეს ბედნიერება, სანამ იგი ჩვენზეა დამოკიდებული.

ტკბილი ცოლქმრობა არა მარტო თავისთავად არის ღირებული, როგორც ბედნიერების წყარო, არამედ ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა ბავშვების ჯანსაღი, მაღალზნეობრივი აღზრდისათვის. ბავშვების აღზრდა ოჯახის ძირითადი ფუნქციაა და სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ როგორც მშობლების, ისე მთელი საზოგადოების ყურადღება.

**გელა ბანძელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩესლავ იანჩარსკი

# ციყვის ანბანი



მხატვარი ი. კაროლაკი

როცა შემოდგომაზე ტყეში ხეები და ბალახები ყვითლდება, დედები თავიანთი ბავშვებისათვის ანბანს ყიდულობენ.

ქალბატონმა ციყვმაც იყიდა ანბანი თავისი ქალიშვილისათვის. პატარა ციყვი ამაყად მიდიოდა შინ და მიჰქონდა თავისი პირველი სახელმძღვანელო. იქ სადილი ელოდა. ციყვმა ანბანი ლოგინზე დააგდო და ერთ წუთში მაგიდას მიუჯდა.

ვისადილებ და გადავათვალიერებო, — გადაწყვიტა მან. თხილის წვნიანის შემდეგ ჰქონდათ თხილის კატლეტი, დესერტად კი — თხილის პუდინგი.

სადილის შემდეგ ციყვმა ანბანისთვის მოიცალა და ლოგინთან მივიდა. ხედავს, არა ჩანს წიგნი. შეიხედა ბალიშქვეშ და არც იქ იყო.

— სად გაჰქრა ანბანი? შენ ხომ არ გინახავს, დედა? — იკითხა მან და უცებ წვრილი ხმა შემოესმა:

— აქა ვარ, ღუმელზე!

— ვინ ლაპარაკობს? — გაიკვირვა ციყვმა.

— ეს მე ვარ, ალა, შენი ანბანიდან. ანბანი მხოლოდ მაშინ ჩამოვა ღუმელიდან, როცა სახლში შესაფერ ადგილს მოუნახავ. მისი ადგილი ლოგინზე არ არის. საწოლი ძილისთვისაა.

— დიდი ბოდიში, დღეიდან ანბანს უჯრაში შევინახავ, — თქვა შერცხვენილმა ციყვმა და წიგნიც თავისით ჩახტა უჯრაში. ციყვმა უჯრა გამოსწია, რომ ანბანი ამოეღო.

— რრ!.. — გაისმა უცებ საშინელი ღრენა.

— ოი, ოი! — შეეშინდა ციყვს. — ვინ ღრენს?

— ეს ძაღლი ღრენს ანბანიდან, — უპასუხა ალამ. — დაიბანე თათები სადილის შემდეგ, მაშინ ძაღლი შეწყვეტს ღრენას!

დაიბანა ციყვმა თათები და თქვა:

— ახლა მაგიდაზე დავდებ წიგნს და ფერადსურათებიან გვერდებს გადავფურცლავ.

— ჯერ არა, — წაიჩურჩულა ალამ.

— რატომ?

— შეხედე მაგიდას!

ციყვმა მაგიდას შეხედა და მიხვდა, რატომ არ უნდოდა ანბანს იქ ყოფნა. მოიტანა სამზარეულოდან ჩვარი და მაგიდიდან საჭმლის ნარჩენები გადაწმინდა.

— მაგიდა უკვე სუფთაა, შეგიძლია ამობრძანდე უჯრიდან, ანბანო! — შეეხვეწა ციყვი.

პასუხად სიჩუმე ჩამოვარდა. შეწუხდა ციყვი. ახლა კი მაკრატელმა დაიწკრიალა:

— ანბანი უჯრიდან გაიქცა, როცა შენ ჩვარის გასარეცხად წახვედი.

— რატომ გაიქცა?

— გეტყვი, რატომ. ჯერ ხელში ამიყვანე და ქაღალდი ჩამოჭერი. ანბანი მაშინვე დაბრუნდება, — ურჩია მაკრატელმა.

ციყვმა რჩევა მოისმინა. როდესაც ჩამოჭრილი ქაღალდი უკვე მაგიდაზე იდო, ალამ ციყვს დაუძახა:

— ახლა კოხტად შეახვიე წიგნი ქაღალდში!



— კიდევ რა გავაკეთო? — შეეკითხა ციყვი, როცა წიგნი შეახვია.

— ერთ რამეს კიდევ უნდა შეპირდე და საბოლოოც ეს იქნება.

— კი, მაგრამ, რა?

— აბა, გამოიცანი!

— ალბათ, ანბანს უნდა, კბილები ვიხეხო დილით და საღამოთი.

— არა, ეს მისი საქმე არ არის! — გაიცინა გოგონამ ანბანიდან.

— ა, იქნებ ის უნდა, რომ სახლში შემოსვლისას ფეხები გავიწმინდო.

— ჰო, ეს ძალიან კარგი ჩვევაა, მაგრამ არც ამაშია საქმე.

ციყვმა ფანჯარაში გაიხედა და ბეკეკა დაინახა, რომელიც ბალახს ძოვდა. ბეკეკას ჰქონდა გრძელი, მოგრეხილი რქები.

— რას უყურებ?

— ბეკეკას.

— ხედავ, როგორი მოგრეხილი რქები აქვს? — ჰკითხა ალამ.

— ვხედავ და ახლა უკვე მივხვდი, რას უნდა შევპირდეთ: არ დავფანტავ ანბანის ფურცლებს, რომ არ მქონდეს ისეთი მოგრეხილი რქები, როგორიც ბეკეკასა აქვს.

— შესანიშნავია! — გაეხარდა ალას, — სწორედ ეს დაპირება იყო საჭირო.

მერე ციყვმა ფურცელ-ფურცელ გადაშალა მთელი ანბანი:

— რა მშვენიერია, როგორი გაფერადებულია...

როცა ციყვი ეზოში გამოვიდა, მას ბეკეკა მიუახლოვდა.

— ოჰ, ბეკეკა! — დაუძახა ტყის პატარა მოწაფემ. — შენ ვერც მიხვდები, რა მნიშვნელობა ჰქონდა დღეს ჩემთვის შენს მოგრეხილ რქებს!..

თარგმნა ინგა კაკაბაძემ

# ეს ყველამ უნდა იცოდეს!

## რეჟიმი გულის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დროს

გულის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დამახასიათებელი ნიშანია შეტევითი ტკივილები — ეგრეთწოდებული სტენოკარდია ანუ გულის ანგინა. სტენოკარდია ეს არის გულის კივილი, სიგნალი, რომ იგი ითხოვს შველას, საჭიროებს ზედმეტი ჟანგბადის მიწოდებას.

თუ ტკივილმა ადამიანს სამუშაოზე მოუსწრო, მან სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს მუშაობა და შეისვენოს, ხოლო თუ სიარულის დროს წამოესწრო, მაშინვე შეჩერდეს. 2-3 წუთით მშვიდ მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ ტკივილი ქრება, რადგან სიარულის ან მუშაობის შეწყვეტის დროს ორგანიზმი ნაკლებ ჟანგბადს ითხოულობს და გულის მუშაობას მეტი ხმარდება.

თუ მშვიდ მდგომარეობაში ყოფნისას ტკივილმა არ გაიარა, საჭიროა მაშინვე ვალიდოლის ან ნიტროგლიცერინის მიღება. ეს პრეპარატები წვეთების სახითაც არსებობს — 3-4 წვეთი უნდა დააწვეთოთ შაქრის ნატეხს, ენის ქვეშ ამოიდოთ და წუწნოთ.

უმეტეს შემთხვევაში, ამ წამლების მიღებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ტკივილი ქრება. იმ იმედით, რომ ტკივილი თავისთავად გაივლის, უარი არ უნდა თქვათ ვალიდოლის ან ნიტროგლიცერინის მიღებაზე, არ დაელოდოთ მდგომარეობის გაუარესებას. შეტევის დაწყებისთანავე აქტიურად უნდა მოიხსნას მტკივნეული შეგრძნებები. თუ ავადმყოფს ფიზიკური დატვირთვა მოელის და შიშობს, რომ შეიძლება მტკივნეული შეტევები დაეწყოს, მან წინდაწინ უნდა მიიღოს ვალიდოლის ან ნიტროგლიცერინის ტაბლეტი. ფიქრი იმაზე, რომ ორგანიზმი შეიძლება მიეჩვიოს ამ პრეპარატებს და ამიტომ შემდგომში მათი გავლენა შესუსტდება, საფუძველს მოკლებულია.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყაბზობის თავიდან აცილებას. მის საწინააღმდეგოდ ხმარობენ შალ[ი]ლიავს, ჩირის კომპოტს, თაფლს, მაწონს, ხილსა და ბოსტნეულს, ხილის წვენებს, აგრეთვე საფაღარათო საშუალებებს — პურგენს, ვაზელინის ზეთს, რევანდის ფესვს, ხეშავას ქერქს. სქესობრივი კავშირი აუცილებლად უნდა შეიზღუდოს, ხოლო ვენური არტერიების მძიმე ათეროსკლეროზის დროს — საერთოდ შეწყდეს.

შეტევის დროს რეკომენდებულია გულის ან მკერდის არეში მდოგვის საფენების დაკვრა. ეს საშუალება ისეთ ტკივილსაც კი აცხრობს, რომელსაც ნიტროგლიცერინიც ვერ ერევა.

მაგრამ თუ ამ საშუალებებმა და სიმშვიდემ მაინც არ მისცა შვება ავადმყოფს, მაშინვე უნდა გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება.

ავადმყოფის დღის რეჟიმის შემუშავებისას მთავარია მხედველობაში ვიქონიოთ შრომისა და დასვენების სწორი შენაცვლება და სრულფასოვანი ძილი. თავი უნდავარიდოთ იერიშობანას, „საავრალო" სამუშაოებს. გულის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის მიზანშეწონილი არ იქნება ღამის ცვლაში და ზედმეტ საათებში მუშაობა.

ავადმყოფს უნდა ჰქონდეს თავშეკავების უნარი და უბრალო მიზეზით არ უნდა აღელდეს. მის ირგვლივ მყოფი ადამიანები, შინ თუ სამსახურში, უნდა ცდილობდნენ დაიფარონ იგი არასასიამოვნო განცდებისაგან.

თუ ავადმყოფი შეჩვეული არაა ფიზიკურ შრომას, მას უნდა აეკრძალოს შეუსვენებლივ ორ სართულზე მაღლა ასვლა, 5 კილოგრამზე მეტი ტვირთის აწევა და ჩქარი ნაბიჯით სიარული.

მას დღე-ღამეში 8-9 საათი უნდა ეძინოს, აქედან, თუ შესაძლებელია, 1-2 საათი — დღისით. ზოგი ფიქრობს, რომ შეიძლება ადამიანმა ვერ გამოიძინოს მთელი კვირის მანძილზე და ეს დანაკლისი კვირა დღეს აინაზღაუროს. მაგრამ ეს მცდარი აზრია. თანდათან შემცირებული ძილი ჩვევაში გადადის და მავნე გავლენას ახდენს ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე. თუ ავადმყოფს დაძინება უჭირს, მან ძილის წინ ჰაერზე უნდა გაისეირნოს, ტანი ცივი ტილოთი დაიზილოს ან თბილი აბაზანა მიიღოს. არაა მიზანშეწონილი ძილის წინ გონებრივი მუშაობა. კითხვა. კითხვა ძილს აფრთხობს და იწვევს მშფოთვარე, ამაღელვებელ სიზმრებს. ნორმალურ ძილს ხელს უშლის აგრეთვე პაპიროსის წევა, ალკოჰოლიანი სასმელების მიღება და საღამოს 6-7 საათის შემდეგ ცხარე ან ნოყიერი საჭმლით ვახშმობა.

შვებულების დროს ან უქმე დღეებში — აქტიური დასვენება, სეირნობა ჩრდილში, თევზაობა ამაგრებს ნერვულ სისტემას.

ათეროსკლეროზით დაავადებულებს კატეგორიულად ეკრძალებათ პაპიროსის მოწევა. ნიკოტინი ჯანმრთელ ადამიანზეც ცუდად მოქმედებს, ავადმყოფის ორგანიზმს კი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, რადგან სისხლძარღვების მკვეთრ შევიწროებას იწვევს. პაპიროსზე უარის თქმა ავადმყოფს სერიოზული გართულებებისგან დაიცავს და ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის კურსიც უფრო ეფექტური იქნება.

მავნეა ალკოჰოლიც, თუმცა ის სისხლძარღვებს აფართოებს. პირველად ალკოჰოლის გავლენით ფართოვდება ზოგიერთი სისხლძარღვი, მაგრამ, მალე ამ გაფართოებას მკვეთრი სპაზმები შეცვლის. ამის გარდა, სკლეროზული სისხლძარღვები ალკოჰოლის მიმართ ზოგჯერ პარადოქსალურ რეაგირებას ახდენენ — უცბად იკუმშებიან. ყველამ როდი იცის ალკოჰოლიანი სასმელების ერთი თვისება: ისინი აძლიერებენ სისხლის შედედებას, ხოლო თუ სისხლძარღვების შევიწროებას უეცრად დაემთხვა სისხლის შედედების გაძლიერება, ამან შეიძლება გამოიწვიოს მიოკარდიული ინფარქტი.

რამდენიმე სიტყვა კვების რეჟიმის შესახებ. ამ რეჟიმის მთავარი წესია ზომიერება, ცხოველური წარმოშობის ცხიმების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. რეკომენდებულია უფრო რძის ნაწარმი და ბოსტნეული, რომლებიც მდიდარია B და C ჯგუფის ვიტამინებით. ჭამა საჭიროა დღეში ოთხჯერ და ცოტ-ცოტა, უკანასკნელად კი დაძინებამდე 2-3 საათით ადრე.

საჭმლის რაციონში ნაკლები რაოდენობით უნდა შედიოდეს ქონი, მსუქანი ხორცი და თევზი, ტვინი, თირკმლები, კვერცხის გული, ხიზილალა. კარაქი მიეცემა ცოტა, დღეში 15-20 გრამი. ავადმყოფი ძირითადად უნდა იღებდეს მცენარეულ ზეთზე დამზადებულ საკვებს, აგრეთვე ხაჭოს, მუხუდოს და სხვა მარცვლეულს (ცერცვი, ლობიო), კვერცხის ცილას, ქაშაყს, ვირთევზას, შვრიისა და ქერის ბურღულს, ბრინჯს, ძროხის მჭლე ხორცს, მწვანე ხახვს, პამიდორს, ბოლოკს, კარტოფილს, ციტრუსებს.

დიეტას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სიმსუქნისაკენ მიდრეკილ ავადმყოფთათვის. წონაში დაკლება შეიძლება, თუ შემცირდება ცხიმებისა და ნახშირწყლების — ტკბილეულის, თეთრი პურისა და სხვა ცომეულის მიღება. სასარგებლოა აგრეთვე, ექიმის დანიშვნით, კვირაში ერთხელ ჩატარდეს განტვირთვის დღე.

ბ. არონოვი,
ი. კუშაკი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები.

ჟურნალ
Здоровье
ფურცლებიდან

## რეჟიმი ჰიპერტონული დაავადების დროს

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჰიპერტონული დაავადების დასაწყისში ზოგჯერ საკმარისია ადამიანი მოვაშოროთ მისი ნერვული სისტემის გამაღიზიანებელ გარემოს, უზრუნველვყოთ მისი სიმშვიდე, ნორმალური დასვენება და არტერიული წნევაც დაიწევს. წნევის დაწევას ხელს უწყობს აგრეთვე ირგვლივ მყოფთა მზრუნველი დამოკიდებულება ავადმყოფისადმი, თვით ავადმყოფის თავშეკავების უნარი — არ აყვეს უსიამოვნო განცდებს და არ გაიღიზიანოს თავი წვრილმანი მიზეზების გამო.

ცხადია, საკუთარ ჯანმრთელობას ფუქსავატურად არ უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ არც მეტისმეტად იჭვნეული უნდა ვიყოთ. არაა საჭირო ზედმეტად გავამახვილოთ ყურადღება ჩვენს შეგრძნებებზე, ხშირად და უმიზეზოდ გავიზომოთ არტერიული წნევა, ვინაიდან ეს ადამიანს ანერვიულებს და ავადმყოფობას ართულებს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სწორად შევიმუშაოთ შრომის, დასვენებისა და ძილის რეჟიმი. ჰიპერტონიით დაავადებულს დღე-ღამეში 8-9 საათი მაინც უნდა ეძინოს. კარგი იქნება აქედან ერთი-ერთნახევარი საათი დღის საათებზეც მოდიოდეს.

ღამის ძილი ღრმა და მშვიდი რომ იყოს, საჭიროა საღამოს ძილის წინ 30-60-წუთიანი გასეირნება, შემდეგ კი თბილი აბაზანის მიღება (34-35 გრადუსამდე). ეს პროცედურა ამშვიდებს ნერვულ სისტემას, მაგრამ თუ ავადმყოფს უძილობა ისევ შეაწუხებს, ექიმის დანიშნულებით ძილის წამალი უნდა მიიღოს.

ავადმყოფი უნდა ეცადოს თავისუფალი დრო ჰაერზე გაატაროს, მაგრამ ძალიან სიცხეში არა. კარგია თევზაობა და ბაღში მსუბუქი მუშაობა. ვემით მგზავრობა, ბუნების წიაღში ლამაზ, ვაკე ადგილზე სეირნობა ამაგრებს ავადმყოფის ნერვულ სისტემას, ახალისებს, ძალას მატებს მას, ხელს უწყობს წნევის დაწევას.

კვირადღე მთლიანად დასვენებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. კარგია ქალაქგარეთ გასვლა. ზაფხულობით შეიძლება ტყეში გასეირნება, მდინარეზე წასვლა, ზამთარში კი, თუ ავადმყოფობა ახლადდაწყებულია, შეიძლება ციგურებით და თხილამურებით სიარული. არ უნდა დავივიწყოთ ყოველდღიური სამკურნალო ვარჯიში, რომელსაც მკურნალი ექიმი შეგვირჩევს.

ჰიპერტონიით დაავადებულისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად გატარებულ შვებულებას. ასეთ ავადმყოფებს ვურჩევთ დაისვენონ თავიანთთვის ჩვეულ კლიმატურ პირობებში, არ მოაწყონ შორეულ მოგზაურობას, რადგან მგზავრობის დროს ახალი კლიმატური პირობების შეჩვევის პროცესში დიდი ენერგია ეხარჯებათ.

ჰიპერტონიით დაავადებულთათვის სპეციალური სანატორიუმები არ არსებობს. სამხრეთის კურორტებზე, რომლებიც ზღვის დონიდან არა უმეტეს ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ, ექიმის რჩევით შეიძლება გამგზავრება მხოლოდ გრილ თვეებში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა დასაწყის სტადიაშია და არ შეიგრძნობა ქოშინი და გულის არეში ტკივილები. ზღვაში ბანაობა შეიძლება მხოლოდ დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 6 საათამდე, ცოტა ხნით — 2-3-ჯერ დღეში 5-10 წუთი. წყლის ტემპერატურა 22 გრადუსი ან ცოტა მეტი უნდა იყოს. მზეზე დიდხანს ყოფნა და გაშავება დაუშვებელია.

კვება უნდა იყოს ზომიერი და სრულფასოვანი. ზედმეტ ჭამას გასუქება მოსდევს. ეს კი გულს გადატვირთავს.

სასარგებლოა რძე, მოხარშული ხორცი და თევზი. ხორცის ან თევზის ბულიონს უნდა ვერიდოთ. დასაშვებია მხოლოდ მჭლე ხორცის, თევზის ან ფრინველის ბულიონი კვირაში ერთ-ორჯერ.

ცხოველური წარმოშობის ცხიმები (კარაქი და ერბო) დღიურ რაციონში უნდა შედიოდეს არაუმეტეს 20 გრამისა (იმის ჩათვლით, რაც კერძებში შედის). ღორის ან ძროხის ქონი უმჯობესია საერთოდ არ მივიღოთ. რაციონში ნაკლებად უნდა შედიოდეს ქოლესტერინის შემცველი ნივთიერებანი (კვერცხის გული, ტვინი, ღვიძლი), მაგრამ რადგან ეს პროდუქტები სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავენ, მათი სრული უარყო-

# არ შეიძლება

### გულის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დროს:

- სახლიდან გამოსვლა ვალიდოლის ან ნიტროგლიცერინის გარეშე.
- მოძრაობა ტკივილების შეტევისას.
- ტკივილების მოთმენა და ვალიდოლის ან ნიტროგლიცერინის არ მიღება.
- ფიზიკური დატვირთვა, თუ წინასწარ არ მიიღებთ ვალიდოლს ან ნიტროგლიცერინს.
- 5 კილოგრამზე მეტი ტვირთის აწევა.
- გადაღლა.
- ჩქარი სიარული.
- პაპიროსის წევა.
- ალკოჰოლიანი სასმელების მიღება.

### ჰიპერტონიით დაავადების დროს:

- ყურადღების მეტისმეტი გამახვილება საკუთარ შეგრძნებებზე, ნერვიულობა და წვრილმანი მიზეზებით გაღიზიანება.
- ზედმეტი ჭამა, — უნდა ჭამოთ ხშირად და ცოტ-ცოტა.
- ძალიან ცხიმიანი და მარილიანი კერძებისა და ბევრი სითხის მიღება.

ფა არაა მიზანშეწონილი და კვირაში 2-3 კვერცხი არ გვაწყენს.

საჭმელი უმჯობესია ნაკლებმარილიანი ან სულ უმარილო.

რამდენი სითხის მიღების უფლება აქვს ჰიპერტონიით დაავადებულს? არა უმეტეს 1,5 ლიტრისა დღე-ღამეში, წვნიანის, კისელის, კომპოტის, ჩაის ჩათვლით. თუ ავადმყოფს ფეხები უსივდება და ქოშინიც აქვს, მაშინ სითხის რაოდენობა 1 ლიტრამდე უნდა შევამციროთ.

შეიძლება თუ არა ყავისა და კაკაოს დალევა? შეიძლება, მაგრამ, თუ ავადმყოფს ცუდად ძინავს, აწუხებს გულის ცემა და გულის არეში უსიამოვნო შეგრძნებები აქვს, უმჯობესია არ დალიოს.

კვება საჭიროა დღეში 4-5-ჯერ, უკანასკნელი ჯერი უნდა მიიღოს დაძინებამდე 2-3 საათით ადრე. ალკოჰოლი და პაპიროსი კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. მაგრამ ზოგ შემთხვევაში, როცა ხანგრძლივად მწეველ ადამიანს უჭირს უცებ მოიშოროს ეს მავნე ჩვევა, შეიძლება მივცეთ საშუალება თანდათან შეამციროს მოწეული პაპიროსების რაოდენობა.

თუ ავადმყოფის მდგომარეობაში იწყება მკვეთრი გაუარესება (თავის ძლიერი ტკივილი, გულისრევა, ღებინება), ე. ი. ეგრეთწოდებული ჰიპერტონული კრიზისი, ავადმყოფი მაშინვე უნდა დავაწვინოთ, საყელო შევუხსნათ და ქამარი მოვუშვათ. თავქვეშ უნდა ამოვუდოთ ერთი ან ორი ბალიში. შეიძლება ეუფილინიც მივაღებინოთ თუ ავადმყოფი ამ წამალს ადრეც იღებდა, და მაშინვე უნდა გამოვუძახოთ ექიმს.

ზოგჯერ ავადმყოფს შვებას აძლევს მდოგვის საფენები კეფაზე და ფეხის წვივებზე, აგრეთვე თბილი აბაზანა.

ა. ზამისლოვა,
პროფესორი,
ტ. სიდელნიკოვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

- **უძილობა.**
- **მზეზე ყოფნა და გაშავება.**
- **ზედმეტ საათებში მუშაობა.**
- **პაპიროსის წევა, ალკოჰოლიანი სასმელების მიღება.**
- **სიარული და მუშაობა ჰიპერტონული კრიზისის დროს.**

# როგორ მოვუაროთ ტრიკოტაჟის ტანსაცმელს

ტრიკოტაჟის ნაწარმი — კაბა იქნება, ქვედატანი, თუ ჟაკეტი — ლამაზია და სატარებლად მოხერხებული. ასე კოხტად და ფორმაშეუცვლელად რომ დიდხანს ვატაროთ, მისი მოვლის წესები უნდა ვიცოდეთ.

გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას:

თუ შალის ტანსაცმელს სახელოები გაეწელა და დაუგრძელდა, ან შალის რეიტუზს მუხლისთავები უშნოდ გამოებერა, ეს ადგილები ცოტა ხნით ორთქლზე უნდა გავაჩეროთ და გაწელილი ქსოვილი შედგება. გაწელილი სამაჯე ზონარით უნდა შევკრათ და ცხელ წყალში ჩავუშვათ. შემდეგ ზონარი შევხსნათ და სამაჯე გავაშროთ. დავინახავთ, რომ მას ძველი ფორმა დაუბრუნებია.

ზოგჯერ ვატყობთ, რომ ტრიკოტაჟის ბლუზას ან სვიტრს სახელოები სადაცაა დაუცვდება. ჩვენ შეგვიძლია მისი ტარების ვადა გავახანგრძლივოთ თუ ასე მოვიქცევით: სახელოები მოვარღვიოთ (თუ, რა თქმა უნდა, მიკერებული სახელოები აქვს) და ადგილები შევუნაცვლოთ — მარცხენა სახელო მარჯვნივ მივაკეროთ, მარჯვენა კი მარცხნივ, რადგან ნაქსოვ ტანსაცმელს პირველად სახელოები უცვდება, ამ საშუალებით მის დიდხანს ტარებას შევძლებთ.

გაჭუჭყიანებული შალის ტანსაცმელი უმჯობესია ქიმწმენდაში მივაბაროთ. მაგრამ თუ სახლში ვრეცხავთ, უნდა ვიხმაროთ გაწმენდილი ბენზინი. ბენზინი ტაშტზე დავასხათ, ჩავუშვათ შიგ ნაქსოვი და თითებით ნაზად გავუსვათ ჭუჭყიან ადგილებზე. ამის შემდეგ ჟაკეტი სამხრეებზე დავკიდოთ და ჰაერზე გავაშროთ, ვიდრე ბენზინის სუნი არ გაუქარდება. ამასთან არ დავივიწყოთ, რომ ბენზინთან დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან იგი ადვილად ფეთქდება.

შალის ნაწარმი კარგად ირეცხება პრეპარატ „ნოვოსტის" ხსნარში. რეცხვისას უმჯობესია დარბილებული წყალი იხმაროთ — წვიმის ან ანადუღარი.

ტრიკოტაჟის ნაწარმი არასოდეს არ უნდა გარეცხოთ ცხელ წყალში და არ უნდა წაუსვათ საპონი. საპონი ან სარეცხი ფხვნილი წინასწარ უნდა ააქაფოთ ნელთბილ წყალში. ფერადი ნაწარმი რომ არ გახუნდეს, წყალში ცოტაოდენ ძმარს ჩაუმატებთ.

ტრიკოტაჟის ნაწარმი მზეზე არ უნდა გავაშროთ — გაუხეშდება. არ შეიძლება მისი თოკზე გადაკიდებაც — ფორმას დაკარგავს. გარეცხვის შემდეგ ნაქსოვს ოდნავ გავწურავთ და სააბაზანო პირსახოცში გავახვევთ, სანამ პირსახოცი წყალს არ შეისრუტავს, შემდეგ კი ფრთხილად გავშლით და მაგიდაზე გადაფარებულ ზეწარზე გავასწორებთ.

შეთელილ ნაქსოვ ტანსაცმელს შეიძლება დაუბრუნდეს პირვანდელი სახე, თუ ნელთბილ საპნისქაფიან წყალში ჩავუმატებთ სამ კოვზ ამიაკს და ერთ კოვზ სპირტს (10 ლიტრ წყალზე) და ამ ხსნარში გავაჩერებთ ნაწარმს ერთი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ ნაქსოვი ნელთბილ წყალში უნდა გავავლოთ, პირსახოცში გავხვიოთ და ოდნავ გავწუროთ, გავაშროთ სუფთა ქსოვილზე დადებული, თან დროდადრო ფრთხილად გავჭიმოთ, რომ არ შედგეს.

თეთრი ტრიკოტაჟი ძალიან ნაზად უნდა გაირეცხოს საპნიან ნელთბილ წყალში, რომელშიც ჩამატებული იქნება ნიშადურის სპირტი (1 სუფრის კოვზი სპირტი 2 ლიტრ წყალზე). ამ ნაწარმს სითხეში ჩავუშვებთ 10–15 წუთით, შემდეგ მეორეჯერ გავავლებთ ასეთივე ხსნარში და ნაზად შევსრისავთ. მერე გავავლებთ სუფთა თბილ წყალში, რომელშიც ჩამატებული იქნება სულ ცოტა გლიცერინი (რომ ნაწარმმა სინაზე და ელასტიურობა შეინარჩუნოს). დაბოლოს კი, გათეთრების მიზნით, ერთიორი საათით ჩავუშვებთ ნიშადურის სპირტიან წყალში.

შალის ტრიკოტაჟს უკუღმა პირიდან აუთოვებენ, სველი ჩვრის ქვეშ. კარგად გახურებული უთო მსუბუქად უნდა ეხებოდეს სველ ჩვარს, რომ ტრიკოტაჟი არ დაიტკეპნოს.

ნაქსოვი ტანსაცმლის გარეცხვისას სალილეებს წინასწარ ამოკემსავენ ხოლმე, რომ არ გაიწელოს.

ნაქსოვი ქუდები გარეცხვის შემდეგ გაზეთის ქაღალდით უნდა გამოვტენოთ და ისე გავაშროთ. ნაქსოვი რომ არ დაიტკეპნოს, გამშრალი ქუდი რამდენიმე წუთით ორთქლზე უნდა გავაჩეროთ.

ტრიკოტაჟს რომ ნაფტალინის სუნი გაუვიდეს, მას ცხელ ბატარეასთან ან ღუმელთან გააშრობენ, შემდეგ კი ჰაერზე გაჰკიდებენ გასანიავებლად.

ღინღლიან ქუდებსა და თავსაფრებს წმენდენ კარტოფილის ფქვილით, ტალკით ან მანანის ბურღულით. ამგვარი ნაწარმი კარგად იწმინდება სახამებლითაც (კრახმალით). კარტოფილის ფქვილს წყალში გაძრავენ ისე, რომ არაჟნის სისქე მიიღოს და ქუდს წაუსვამენ. როცა სახამებელი კარგად შეშრება, ქუდს გაფერთხავენ.

გახუნებული ტრიკოტაჟის ნაწარმი შეიძლება დაირღვეს და უკუღმა პირიდან ძველ ნაკერავებზე გაიკეროს, შემდეგ კი ნაპირები ყაისნაღით ამოეხვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამცხვრები

## ლიმონის ნაეცხვარი

3/4 ჩაის ჭიქა კარაქი და 1 ჩაის ჭიქა შაქარი ერთად კარგად გავლესოთ, თითო-თითოდ დავუმატოთ 8 კვერცხის გული, 2 სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, შემდეგ — 1 ჭიქა პურის ფქვილი, დაქუცმაცებული 1 ლიმონის ცედრა (კანი) და მოვზილოთ ცომი. ცალკე კარგად ავთქვიფოთ 8 კვერცხის ცილა და შემდეგ ნელ-ნელა შევურიოთ მიღებულ მასას. ეს ყველაფერი ჩავასხათ გამოსაცხობ ფორმაში, რომელსაც წინასწარ წასმული ექნება ერბო და ცოტა ფქვილი.

## „თოვლის ფიფქი“

6 კვერცხის ცილა კარგად ავთქვიფოთ, ნელ-ნელა დავუმატოთ 1 ჭიქა შაქარი, მიღებული მასა თანდათან ავიღოთ სუფრის კოვზით და ჩავყაროთ ცეცხლზე მდგარ მდუღარე რძეში ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებოდეს. ქვაბს დავხუროთ ხუფი და ვადუღოთ 5-6 წუთი. შემდეგ ამოვიღოთ ქაფქირით და გასაგრილებლად დავაწყოთ საცერზე.

6 კვერცხის გული კარგად ავთქვიფოთ 1 ჭიქა შაქართან, გავხსნათ 2 ჭიქა რძეში (რომელშიც ფიფქები მოიხარშა), შევდგათ ცეცხლზე და ვადუღოთ შესქელებამდე. დავუმატოთ ვანილი. გაკაციოთ. ფიფქები დავაწყოთ თეფშზე და ზევიდან მოვასხათ მიღებული წვენი.

## მშრალი ნამცხვარი დარიჩინით

2 კვერცხი, ნახევარი ჩაის ჭიქა შაქარი, 3 სუფრის კოვზი კარაქი, 3/4 ჩაის ჭიქა არაჟანი, 1/2 ჩაის კოვზი სოდა და 3 ჩაის ჭიქა ფქვილი ერთად კარგად მოვზილოთ. ცომი გავაციოთ და შემდეგ გავაბრტყელოთ 1 სმ სისქეზე, ჩაის ჭიქით ან სპეციალური ფორმებით დავჭრათ, ზევიდან სათითაოდ მოვაყაროთ დარიჩინი და შაქრის ფხვნილი და შევდგათ გამოსაცხობად.

## ნამცხვარი „ენა“ (ნაპოლეონის ცომით)

2 1/2 ჩაის ჭიქა ფქვილი დავყაროთ ფიცარზე, გული ჩავუღრმავოთ, ჩავასხათ შიგ 3/4 ჩაის ჭიქა წყალი, 1 სუფრის კოვზი ლიმონის წვენი (ან 5-6 წვეთი ლიმონის სიმჟავე), 1 კვერცხი, სულ ცოტა მარილი და კარგად მოვზილოთ; გავაბრტყელოთ. ცომის შუაში დავდოთ ხელით კარგად შეზელილი 400 გრ კარაქი, ცომი კონვერტივით მოვკეცოდ ისე, რომ კარაქი ყოველი მხრიდან დაიფაროს და კვლავ გავაბრტყელოთ. ისევ მოვკეცოთ კონვერტივით და 1 საათით გასაციებლად გავიტანოთ, გაციებული ცომი კვლავ გავაბრტყელოთ, მოვკეცოთ კონვერტივით და ისევ გავაციოთ. ასე გავიმეოროთ სამჯერ. ბოლოს გამზადებული ცომი გავაბრტყელოთ 1 1/2 სმ სისქემდე. ჩაის ჭიქით ამოვჭრათ ფორმები, მოვაყაროთ შაქრის ფხვნილი (სულ 1 ჩაის ჭიქა) და გავაბრტყელოთ ერთი მიმართულებით, სიგრძეზე, რომ ენის ფორმა მიიღოს. შევდგათ გამოსაცხობად ღუმელში. გამოსაცხობ ფორმას წინასწარ წავუსვათ წყალი.

## ფხვიერი ცომი ნიგვზით

100 გრ კარაქი (ან ერბო) და 1 1/2 ჩაის ჭიქა ფქვილი დანით ერთად ავკეპოთ, შევურიოთ ცოტა მაწონში გახსნილი 1/3 ჩაის კოვზი სოდა, 1/2 ჩაის ჭიქა შაქარი, 3 კვერცხის გული და მოვზილოთ. შემდეგ ცომი ჩავდოთ ცხიმწასმულ ფორმაში, ზემოდან მოვაყაროთ 1 ჩაის ჭიქა დაკეპილი ნიგოზი, შერეული $^{1}/_{2}$ ჭიქა შაქრის ფხვნილთან. ცალკე ავთქვიფოთ 3 კვერცხის ცილა, დავუმატოთ 1/2 ჭიქა შაქრის ფხვნილი, ზევიდან მოვასხათ ნიგოზს და შევდგათ ღუმელში.

## ნამცხვარი ვაშლითა და ქიშმიშის გულით (რულეტი)

2 კვერცხი და 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი კარგად ავთქვიფოთ, დავუმატოთ 1 1/4 ჭიქა წყალი და 2 1/2 ჭიქა ფქვილი. მოვზილოთ ცომი და გავიტანოთ გასაგრილებლად 20-30 წუთით. გაგრილებული ცომი გავაბრტყელოთ სუფრაზე ან სუფთა ნაჭერზე ისე, რომ ქაღალდივით სიფრიფანა გახდეს. ზევიდან თანაბრად მოვაყაროთ ერთმანეთში შერეული 1 კგ გახეხილი ვაშლი, 1 ჭიქა ქიშმიში, 1/3 ჭიქა შაქარი, 1 სუფრის კოვზი დარიჩინი, მოვასხათ 1/2 ჭიქა ერბო. ნელა ჩავახვიოთ, ზევიდან მოვუსვათ კვერცხის გული, მოვაყაროთ შაქრის ფხვნილი და შევდგათ ღუმელში

## ვანილიანი ორცხობილა

სამი კვერცხი ავთქვიფოთ, დავუმატოთ 1 1/4 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 3/4 ჭიქა ერბო, 1/3 ჩაის კოვზი სოდა, ცოტა ვანილის ფხვნილი და 2 ჭიქა ფქვილი. მოვზილოთ და სიგრილეში გავიტანოთ ნახევარი საათით. გაგრილებული ცომი რამდენიმე ნაწილად დავჭრათ, რომ მივიღოთ 4-5 სმ სისქის და 15-20 სმ სიგრძის ფორმები. გამოვაცხოთ. გამოცხობის შემდეგ ნამცხვარი დავჭრათ დაახლოებით 1 სმ სისქის ნაჭრებად და გასახმობად კვლავ ღუმელში შევდგათ 6-8 წუთით.

## ორცხობილას ტორტი

400 გრ ვანილიანი ორცხობილა გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში და ტაფაზე ოდნავ მოვხალოთ. წინასწარ მოვამზადოთ კრემი: 1 ჩაის ჭიქა რძეში ჩავყაროთ 1 1/2 ჭიქა შაქრის ფხვნილი და შევდგათ ცეცხლზე შაქრის გადნობამდე. მეორე ჭიქა რძეში გავხსნათ 1/2 ჭიქა ფქვილი და ნელი მორევით შევურიოთ ცეცხლზე დადგმულ რძეს. ვადუღოთ შესქელებამდე. გადმოდგმისას დავუმატოთ ცოტა ვანილი. გაციებულ კრემს თანდათან შევალესოთ 150 გრ კარაქი. მიღებული კრემი ორად გავყოთ. ერთ ნაწილს შევურიოთ ორცხობილას ფხვნილი და ეს მასა კიდევ შუაზე გავყოთ. ერთი ნაწილი ფრიალა თეფშზე მოვათავსოთ, გვერდები შემოვუსწოროთ და თანაბრად გადავუსვათ მორჩენილი კრემი, რომელსაც წინასწარ დავუმატებთ რამდენიმე წვეთ რომს ან ლიმონის ცედრას. შემდეგ ზევიდან დავადებთ ორცხობილიანი მასის მეორე ნახევარს, ამასაც ზევიდან გადავუსვამთ მორჩენილ კრემს და შემოვულამაზებთ გვერდებს. ტორტი შეიძლება გაფორმდეს (სეზონის მიხედვით) ხილით, შოკოლადით ან მურაბით.

## ნამცხვარი „კროკეტი“ ქიშმიშით

1 კვერცხი ავთქვიფოთ $^{1}/_{2}$ ჭიქა შაქრის ფხვნილში, დავუმატოთ $^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა არაჟანი, 3 სუფრის კოვზი ერბო და 1/4 ჩაის კოვზი სოდა. ერთი ჭიქა კარტოფილის ფქვილი შევურიოთ 1 ჭიქა პურის ფქვილს და დავაყაროთ მიღებულ მასას. კარგად ავზილოთ. ცომი დავჭრათ კაკლის ოდენა ბურთებად, შუაში შევაყოლოთ რამდენიმე ქიშმიში და გამოვაცხოთ. გამომცხვარი ბურთულები ამოვავლოთ ვანილიან შაქრის პუდრში.

ლ. ცინცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კინომოყვარულთა კუთხე

# სოფი ლორენი

მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, იტალიელმა კინოვარსკვლავმა სოფი ლორენმა სპეციალური პრიზი მიიღო. ეს უდიდესი დამსახურება ნაყოფია იმ ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომისა, რომელიც ყოველთვის ვარდმოფენილი არ ყოფილა მსახიობის ცხოვრებაში.

იტალიაში ულამაზეს ქალთა ტრადიციული კონკურსი ერთ-ერთი გზაა კინომსახიობობისაკენ. თექვსმეტი წლის ნეაპოლელმა ქალიშვილმა, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა კინომსახიობი გამხდარიყო, კარგად იცოდა, რომ ამისათვის ბუნებრივი მომხიბვლელობის გარდა სხვა არავითარი სპეციალური მომზადება არ გააჩნდა, ამიტომ ხსენებული კონკურსის საიმედო გზას დაადგა. მაგრამ, დახეთ ბედის ირონიას: მისი დებიუტი კონკურსზე მარცხით დამთავრდა. მაგრამ მსახიობად გახდომის დაუცხრომელმა სურვილმა თავისი გაიტანა. იგი კვლავ შეუპოვრად მონაწილეობს სილამაზის კონკურსში და, ბოლოს, მეორე ადგილსაც იღებს. ეს იყო 1950 წელს. ამის შემდეგ ქალიშვილი მართლაც მოხვდა კინოსტუდიაში თავისი ნამდვილი სახელითა და გვარით: სოფი შიკოლინე. მალე იგი რწმუნდება, რომ სტუდიაში უბრალო ასისტენტობას ვერასოდეს ვერ ასცდება, თუ საკუთარი ინიციატივით არ გაიკაფა გზა მსახიობობისაკენ. ახლა უკვე სახელგანთქმული მსახიობი, სოფი ლორენი, გულნაკლულია იმაზე, რომ თავდაპირველად იგი, ანა მანიანის მსგავსად, სერიოზული შემოქმედებითი წყურვილით არ დაწაფებია ხელოვნებას, არც ჯინა ლოლობრიჯიდას გარეგნული ბრწყინვალებისადმი შურლმა მოუტანა მას ნამდვილი დიდება. შეუპოვარი შრომა და გულწრფელი შემოქმედებითი ძიება ერთადერთი სწორი გზა აღმოჩნდა წარმატებისათვის. იგი, სტუდიაში მოხვედრისთანავე, თავგამოდებით იწყებს სამსახიობო ხელოვნების შესწავლას. ეძებს შემთხვევას, როგორმე ლედი მაკბეტის ან დეზდემონას მსგავსი თვალსაჩინო როლი შეასრულოს კინოში. 1962 წელს, ერთერთი რეჟისორი, თავისი ფილმისათვის: „აფრიკა ზღვის დონეზე დაბლა", ეძებდა მსახიობ ქალს, რომელსაც კარგი ცურვა შეეძლო. სოფი შიკოლინე დაუყონებლივ დათანხმდა გადაღებაზე. პირველივე სინჯვის შემდეგ იგი ცოცხალ-მკვდარი გამოიტანეს წყლიდან. გული მაინც არ გაიტეხა. ორ დღეში ცურვა ისწავლა და დაკისრებული როლიც შეასრულა. ეს მაგალითი საუკეთესოდ ახასიათებს ამ მსახიობის შეუპოვრობას. ამის შემდეგ შიკოლინემ პირველად მიიღო ფსევდონიმი — ლორენი. ახლა იგი ამაყად დაიარება სტუდიაში და ისწრაფვის როგორმე დაეწიოს იმ დროისათვის უკვე აღიარებულ კინოვარსკვლავს ჯინა ლოლობრიჯიდას, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა ფილმში: „პური, სიყვარული და ფანტაზია". ლორენს ბედმა გაუღიმა: ამ ფილმის მეორე სერიაში ლოლობრიჯიდამ ვერ მიიღო მონაწილეობა, რადგან იგი ჰოლივუდში მიიწვიეს. მისი შეცვლა სოფი ლორენს დააკისრეს. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დააჩქარა ლორენის პოპულარობა. მისი სახელი ვიტორიო დე სიკას გვერდით იწერება, ხოლო ფილმ „ნეაპოლურ საქანელაში" მონაწილეობის შემდეგ მის სურათებს ღია ბარათების სახით ჰყიდიან. მაგრამ იტალიელი კინოსპეციალისტები მის ნიჭს ჯერ კიდევ ეჭვის თვალით შესცქერიან. მხოლოდ რეჟისორი კარლო პონტი არაა გულგრილი არც მისი ნიჭისა და არც მისი გარეგნობისადმი. ეს სიმპათია მათი შეუღლებით დამთავრდა. რამდენიმე სერიოზული შემოქმედებითი წარმატების შემდეგ, სოფი ლორენი ჰოლივუდში გადადის. და აი სწორედ აქ, სადაც იგი სახელგანთქმულ კინოვარსკვლავად იქცა, კარგახანს მოსწყდა ჭეშმარიტ შემოქმედებას. იგი განურჩევლად მონაწილეობს ისეთ ფილმებში, რომლებშიც რეჟისორებს ძირითადი აქცენტი მის მომხიბვლელ ტანსა და მაღალ ფეხებზე გადააქვთ. ამავე პერიოდში პარიზის ყოველკვირეული ჟურნალი „პარი მატჩი" ათასობით ბეჭდავს ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავების მერლინ მონროსა და სოფი ლორენის ერთმანეთისადმი საკონკურენციო ექსტრავაგანტურ სურათებს. არა გვგონია, რომ თვითონ სოფი ლორენი შემოქმედებითად კმაყოფილი ყოფილიყო ამ პერიოდისა. საბედნიეროდ, ფუჭი დიდების ცდუნება დიდხანს არ გაჰყოლია.

სამოციანი წლები სოფი ლორენის ნამდვილი შემოქმედებითი წარმატებით დაიწყო. ცხოვრების მრავალმხრივი გამოცდილება საკუთარ შემოქმედებით სკოლად იქცა მსახიობისათვის. როგორც თვითონ აღიარებს, ამ დროიდან იგი სულ უფრო და უფრო უახლოვდება სტანისლავსკის სისტემას „შემდეგში, — ამბობს მსახიობი, — მე ჩემი საკუთარი გამოცდილებით, თეატრალური სკოლებისა და კურსების გარეშე, დავრწმუნდი, რომ მით უფრო უკეთესად ვთამაშობ, რაც უფრო მივყვები საკუთარ ინტუიციას, ხელახლად განვიცდი დრამატული ასახვით რეალური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციებსა და სულიერ მდგომარეობას". სამოციანი წლების დასაწყისში, იგი ზედიზედ აღწევს დიდ შემოქმედებით წარმატებას ისეთ რეალისტურ ფილმებში, როგორიცაა კრისტიან ჟაკის „მადამ სან ჟენი", ფედერიკო ფელინის, დე სიკას, ლუკინო ვისკონტისა და მარიო მონიჩელის „ბოკაჩიო", დე სიკას „ალტონელი ტყვეები", ხოლო, 1961 წელს, ფილმ „ჩოჩარაში" ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, იტალიური კრიტიკის ყოველწლიური ჯილდო „ვერცხლის ლენტა" მიიღო. პარიზის ჟურნალი „ფილმ ფრანსეზი" ლორენს ევროპის საუკეთესო მსახიობად ასახელებს. მასზე ქებით ლაპარაკობენ მსოფლიოს პროგრესული წრეები. აი, როგორ დაახასიათა მსახიობი ჩარლი ჩაპლინმა: „აღტაცებული ვარ სოფი ლორენით. ეს ერთერთი საუკეთესო მსა-

გარეკანზე: პირველ გვერდზე ვ. ი. ლენინი, მხატვარი ციპლაკოვი;
მეოთხე გვერდზე — „მამიკოს მანქანაში", ფოტოეტიუდი გურამ თიკანაძის.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი) ნ. ჯავახიშვილი.

ს.კ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9 98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI 65 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60 000. შეკვ. № 3206. უე 03459. ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიობია, როგორსაც კი ოდესმე ვიცნობდი. მას ეხერხება ადამიანის გრძნობათა ყოველი ელფერის გადმოცემა. ყველაზე მეტად მის შემოქმედებით წარმატებაში დამსახურება მიუძღვის სწორედ იმ იტალიურ ნეორეალიზმს, ადრე ხალხის საყვარელ მსახიობებად რომ აქცია ანა მანიანი, ლუჩია ბოზე, სილვანა პამპანინი, ჯულიეტა მაზინა და სხვები“...

ფილმმა—„ჩოჩარა“— სავსებით გადასწყვიტა ლორენის ნიჭიერების საკითხი. თვითონ უბრალო ხალხის წრიდან გამოსულმა მსახიობმა შეძლო ამ ფილმში შეექმნა ხალხიდან გამოსული ადამიანის, უბრალო იტალიელი ქალის — ჩეზირას ტიპიური ხასიათი.ლორენმა საბოლოოდ მიაგნო თავის ამპლუას, ბევრ რამეში ანა მანიანის დრამატიზმს რომ აახლოებს. გულწრფელი განცდა, მწველი ტემპერამენტი, სიმართლის უტყუარი გრძნობა მისი შემოქმედებითი არსენალის სიმდიდრედ იქცა. იგი ყოველ ფილმში, ლუკინო ვისკონტის „ქალი მონსიდან“ იქნება იგი (სადაც XVI საუკ. მონოზნის როლს ასრულებს), თუ ვიტორიო დე სიკას „გუშინ, დღეს, ხვალ“ (რომელშიც თანამედროვე უბრალო ნეაპოლელ ქალს ანსახიერებს), ინარჩუნებს სიმართლეს და უბრალოებას, ეროვნულ ხასიათს.

ყველაზე სრულყოფილად ეს სიმართლე, ეა ეროვნული ხასიათი ფილმ „ჩოჩარას“ შემდეგ ისევ ნეორეალისტი რეჟისორის დე სიკას ახალ კინოსურათში („ქორწინება იტალიურად“) გამომჟღავნდა. „ქორწინება იტალიურად“, რომელიც ედუარდო დე ფილიპოს ცნობილი პიესის „ფილუმენა მარტურანოს“ მიხედვით შეიქმნა (სხვათა შორის, ადრე, ამ პიესის მიხედვით ფილმი გადაიღო თვითონ დე ფილიპომ, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა მისი აწ განსვენებული და ტიტინა დე ფილაპო), საუკეთესოდ ასახავს თანამედროვე იტალიური ცხოვრების სოციალურ მხარეს. ლორენის ფილუმენა, ამ მძიმე სოციალურ გარემოში მოქცეული, ის





ჩეზირა — „ჩოჩარა“

უბრალო ქალია, რომლისთვისაც უცხო არაა გაჭირვება და მუდმივი ბრძოლა ადამიანურობისათვის, ის ქალია, რომელსაც შესწევს უნარი ოპტიმისტურად შეხედოს მომავალს, სწორედ ისე, როგორც იტალიელი უბრალო ხალხი უყურებს მომავალს. ლორენი ამ ხალხთანაა, ხალხს ეკუთვნის მისი შემოქმედება, რის საფასურადაც მან ხალხისავე სიყვარული დაიმსახურა.

გივი გარამიძე

ИНДЕКС 76178



ეროვნული
ბიბლიოთეკა